

TRANSLATION OF HISTORICAL TEXT IN THE PARADIGM OF THE HUMANITIES

ისტორიული ტექსტის თარგმანი ჰუმანიტარული მეცნიერებების პარადიგმაში

Natia Amirejibi

Doctor of Philology,

Visiting Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Tbilisi, 1 Ilia Chavchavadze Avenue, 0179, Georgia,

+995599448374, natia.amirejibi@tsu.ge

<https://orcid.org/0000-0002-8632-9805>

Abstract: The reality of the 21st century – globalization and the activation of international contacts – causes a multifaceted interest and challenge to translation studies and translation activities. This applies to politics, economy, education, etc., as well as culture and science. As one of the most effective forms of values' exchange, translation has contributed to the creation of a common cultural space for centuries. Translation is one of the crucial aspects for understanding the character, worldview and perception of the world of both related and radically different peoples and languages. According to Federico Fellini, “Un linguaggio diverso è una diversa visione della vita”/“A different language is a different vision of life”. Translation of historical texts has a significant contribution to this space which makes it possible for the knowledge and experience of past generations to be available to anyone interested in the present and the future.

Translation of historical sources is one of the types of sectoral/genre translation and, at the same time, a separate direction of scientific activity. It is based on historical research, its result should be a new text in a new language with adequate content, structure and style in relation to the original. The finished translation should reflect the national specificity of the original source, genre and stylistic features, discourse, it should be relevant to the source in terms of content and composition. Modern transnational science, which is based on multidisciplinary research, actively uses translations of historical texts in adjacent fields as well. Most often, museums, educational institutions and cultural organizations apply for the translation of historical texts.

This article discusses the specifics of the historical text, its translation strategies; examples and various versions of the translations are given, including my own.

Keywords: history, science, translation, culture, stylistics, analysis.

ნათია ამირეჯიბი

ფილოლოგიის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მოწვეული პროფესორი,

ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1, 0179, საქართველო

+995599448374, natia.amirejibi@tsu.ge

<https://orcid.org/0000-0002-8632-9805>**აბსტრაქტი:**

XXI საუკუნის რეალობა – გლობალიზაცია და საერთაშორისო კონტაქტების გააქტიურება – თარგმანმცოდნეობისა და მთარგმნელობითი საქმიანობისადმი მრავალმხრივ ინტერესს და გამოწვევას განაპირობებს. ეს ეხება როგორც პოლიტიკას, ეკონომიკას, განათლებას და სხვ., ისე კულტურას და მეცნიერებას. როგორც ფასეულობების გაცვლის ერთ-ერთმა ყველაზე ქმედითმა ფორმამ, თარგმანმა საუკუნეების განმავლობაში ხელი შეუწყო ზოგადსაკაცობრიო კულტურული სივრცის შექმნას. თარგმანი როგორც მონათესავე, ისე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხალხების და ენების რაობის, მსოფლხედვის და სამყაროს აღქმის გასაგებად ერთ-ერთი გადამწყვეტი ასპექტია. ფედერიკო ფელინის სიტყვებით, “Un linguaggio diverso è una diversa visione della vita”/“A different language is a different vision of life”/, „განსხვავებული ენა არის ცხოვრების განსხვავებული ხედვა“. ამ საქმეში საკმაოდ დიდი წვლილი ისტორიული ტექსტების თარგმანს აქვს. ისტორიული ტექსტების თარგმნის წყალობით, წარსული თაობების ცოდნა და გამოცდილება აწმყოსა და მომავალში ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ისტორიული წყაროების თარგმნა არის დარგობრივი/ჟანრობრივი თარგმანის ერთ-ერთი ნაირსახეობა და, ამავე დროს, სამეცნიერო საქმიანობის ცალკე მიმართულება. მას საფუძვლად უდევს ისტორიული კვლევა, მისი შედეგი უნდა იყოს ორიგინალთან მიმართებაში მყოფი, ადეკვატური შინაარსის, სტრუქტურის და სტილის მქონე ახალი ტექსტი ახალ ენაზე. დასრულებული თარგმანი უნდა ასახავდეს პირველწყაროს ეროვნულ სპეციფიკას, ჟანრობრივ და სტილისტურ თავისებურებებს, დისკურსს, ანუ კონტენტით და კომპოზიციით დედნის რელევანტური უნდა იყოს. თანამედროვე ტრანსნაციონალური მეცნიერება, რომელიც მულტიდისციპლინურ კვლევებზე დგას, ისტორიული ტექსტების თარგმანებს მომიჯნავე დარგებშიც აქტიურად იყენებს. ყველაზე ხშირად ისტორიული ტექსტების თარგმანს მუზეუმები, საგანმანათლებლო დაწესებულებები და კულტურული ორგანიზაციები მიმართავენ.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ისტორიული ტექსტის სპეციფიკა, მისი თარგმნის სტრატეგიები; მოყვანილია მაგალითები; მოცემულია თარგმანების სხვადასხვა ვერსია, მათ შორის, ჩემეული.

საკვანძო სიტყვები: ისტორია, მეცნიერება, თარგმანი, კულტურა, სტილისტიკა, ანალიზი.

შესავალი.

ისტორიული ტექსტი, როგორც თარგმანის ობიექტი

თარგმანის გაჩენა კაცობრიობის გარიჟრაჟს უკავშირდება, როდესაც ბუნებრივი ენა ცალკეულ ენებად/დიალექტებად დაიშალა. სავარაუდოდ, პირველი მთარგმნელები იყვნენ ადამიანები, რომლებიც ბედისწერამ გახადა ორი ან მეტი ენის მატარებლები: ქალები, რომლებიც ცოლად მიჰყვებოდნენ/აყოლებდნენ უცხოტომელებს, სამხედრო ტყვეები, ვაჭრები, მოგზაურები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაუფლებოდნენ ახალ ენას და ა.შ., ანუ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებების კომუნიკაციაში ნებით თუ უნებლიედ ჩართული ხალხი. თარგმანის წარმოშობის რელიგიურ-მითოლოგიური ვერსიაა ბაბილონის გოდოლი. ბაბილონი გახდა ადამიანის მხრიდან ღვთის ურჩობის, მულტილინგვიზმის და, შესაბამისად, მთარგმნელობითი საქმიანობის სიმბოლო.¹ მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ბაბილონელებს და შუმერებს მრავალენოვანი ლექსიკონები ჰქონდათ. ამაზე შემორჩენილი ბიბლიოგრაფიული არტეფაქტები მოწმობს. ბაბილონში, შუმერული ტექსტების თარგმნის საფუძველზე, ძვ.წ. I ათასწლეულში ასურული ლიტერატურა ჩამოყალიბდა. მთარგმნელობით საქმიანობას მისდევდნენ ხეთები, რომლებიც ხურიტების შემოქმედებას თარგმნიდნენ, სირიელები, ებრაელები, ასევე, ინდოეთის და კართაგენის მკვიდრნი. ინდური დამწერლობის უძველესი ძეგლები, რომლებიც ჩვენამდე მოვიდა, იმპერატორ აშოკის კლდეზე ამოკვეთილი ედიქტებია, რომლებიც ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება. აშოკის ედიქტები არამეულზე ითარგმნა ირანულენოვანი მოსახლეობისთვის, ასევე, ბერძნულად. პირველი პროფესიონალი მთარგმნელები/თარგმნელები ძველ მრავალენოვან ფინიკიურ სახელმწიფოში, კართაგენში გამოჩნდნენ, სადაც ეს სტატუსი ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და პრივილეგირებული იყო.² პროფესიულ თარგმანს მისდევდნენ ძველ ეგვიპტეში, რაზეც ობელისკები, იგივე ბენ-ბენები³ მოწმობს ენობრივი შუამავლების, ანუ მთარგმნელების გამოსახულებით. მთარგმნელები სპეციალურ პროფესიულ ჯგუფებს ქმნიდნენ და ჰქონდათ იერარქია. ისინი ფარაონის კარზე და ტაძრებში მსახურობდნენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში მთარგმნელები დიდი პატივით არ სარგებლობდნენ; ეს მომსახურეთა კასტა იყო.

¹ „ერთპირი იყო მთელი ქვეყანა და ერთ ენაზე მეტყველი. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰჰოვეს ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ... თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მიუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე. ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ. თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას; რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქისა და გოდოლის შენება. ამიტომ ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღიარა უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე“ (დაბ. 11:6).

² კართაგენის მთარგმნელთა კასტა იყო ამ პროფესიის ადამიანთა პირველი ოფიციალური კავშირი მსოფლიო ისტორიაში. კართაგენში მთარგმნელები არ იხდიდნენ გადასახადებს და სხვა შეღავათებით სარგებლობდნენ; სხვებისგან გარეგნულადაც განსხვავდებოდნენ: თავს იპარსავდნენ და სხეულზე თუთიყუშის ტატუს იხატავდნენ: ჩიტის გამლილი ფრთებით გამოსახვა მიუთითებდა, რომ მის მფლობელს რამდენიმე ენიდან/ენაზე//დიალექტიდან/დიალექტზე თარგმნა შეეძლო; ფრთადაკეცილი თუთიყუში ნიშნავდა, რომ მთარგმნელი მხოლოდ ერთ უცხოურ ენას ფლობდა.

³ ობელისკი (ძვ. ბერძ. ὀβελίσκος „შამფური“, „სოლი“, „დანა“) – მონუმენტი ქვის სვეტის სახით, რომელიც ზემოთ წვრილდება, „სინათლის სვეტი“, მზის სიმბოლო. ობელისკებზე ხშირად გამოსახავდნენ წარჩინებულ ადამიანებს და გამორჩეულ მოვლენებს.

თარგმანის განვითარების შემდეგი ადგილი ძველი საბერძნეთია, სადაც ამ საქმიანობას თავისი სპეციფიკა ჰქონდა. აქ ძვ.წ. VI-I სს. მხოლოდ „შიდა თარგმანს“ აკეთებდნენ: ხალხური ზეპირსიტყვიერების, მითების, ასევე ევრიპიდეს, ესქილეს, ჰომეროსის, სოფოკლეს ინტერპრეტაციებს. ბერძნები ამრეზით ეპყრობოდნენ „ბარბაროსულ“ ენებს და მათ შესწავლას, აუცილებლობის შემთხვევაში იყენებდნენ დაქირავებულ მთარგმნელებს, იმავე ბარბაროსებს, რომლებმაც ბერძნული იცოდნენ. ასეთი მთარგმნელები ნახსენებია ბერძენი სოფისტის,⁴ ფლავიუს ფილოსტრატეს (ახ.წ. III ს.) რელიგიურ-ფილოსოფიურ რომანში „აპოლონიუს ტიანას ცხოვრება“.

საბერძნეთისგან განსხვავებით, ძველ რომში მთარგმნელობითი საქმიანობა ძალზე დაფასებული იყო, თარგმნით არისტოკრატია იყო დაკავებული. აქ, ერთი მხრივ, ფართოდ გამოიყენებოდა კომუნიკაციური თარგმანი (სხვა ხალხებთან ურთიერთობაში), მეორე მხრივ, ჩამოყალიბდა ლიტერატურული თარგმანის ტრადიცია, რომელიც ექსკლუზიურად და სისტემურად ბერძნული ენიდან სრულდებოდა. ეს პერიოდი რომში თარგმანის „ოქროს ხანაა“. მწერლებს, ფილოსოფოსებს და ორატორებს შორის თარგმანით დაკავება „საუკეთესო გართობად“ და თავშესაქცევად იყო აღიარებული. თარგმნიდნენ ისეთი გამოჩენილი რომაელები, როგორებიც იყვნენ გაიუს აცილიუსი, ლუციუს ანდრონიკე, მარკუს ტულიუს ციკერონი. სწორედ ციკერონის ტრაქტატი *De Optimo Genere Oratorum* („ორატორების საუკეთესო ტიპზე“) ითვლება თარგმანის მეცნიერების საწყისად.

განსაკუთრებით აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა ქრისტიანობის გავრცელების ეპოქაში გახდა, როდესაც წმინდა წერილის თარგმნა დაიწყო. ბიბლიის⁵ და საღვთისმეტყველო ტექსტების თარგმნა კაცობრიობის სულიერი და მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, ძალზე საინტერესო ისტორიული თვალსაზრისითაც. თუმცა, თარგმანს დასავლეთის, ევროპის, ქრისტიანული სამყაროს მიღმაც არ აკლდა ყურადღება. რომის იმპერიის დაშლის შემდეგ მთარგმნელობითი ცენტრი ბაღდადი გახდა. არაბთა სახალიფოში მთარგმნელობითი საქმიანობა ოფიციალური ხელობა იყო და უხვად ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. გადმოცემის თანახმად, IX საუკუნეში ბაღდადის „სიბრძნის სახლის“⁶ ცნობილ მეცნიერსა და

⁴ სოფიზმი (ბერძ. σοφισμα „უნარი“, „ოსტატობა“, „თავსატეხი“, „ხრიკი“) – ფორმალურად სწორი, მაგრამ არსებითად მცდარი დასკვნა, რომელიც დაფუძნებულია ამოსავალი წერტილის მიზანმიმართულად არასწორ შერჩევაზე. ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში (sophismata). სოფისტიკა ემყარება ლოგიკის წესების განზრახ, გაცნობიერებულ რღვევას. ეს განასხვავებს მას პარალოგიზმისა და აპორიისგან. ისტორიულად სოფიზმის კონცეფცია ფალსიფიციერების იდეასთან ასოცირდება, სოფისტი ზრუნავს არა სიმართლეზე, არამედ პრაქტიკულ წარმატებაზე.

⁵ კულტურის გლობალურ სემიოტიკურ სივრცეში მოქმედ ტექსტებს შორის ცალკე დგას ბიბლია (ძვ. ბერძ. მ.რ. Βίβλια – „წიგნები“; მხ.რ. βιβλίον – „წიგნი“; ბერძ. βύβλος – „პაპირუსი“; ძველი ფინიკიური ქალაქის *ბიბლოსის* სახელწოდებიდან). ის ევროპული ცივილიზაციის ისტორიული, კულტურული და ზნეობრივი განვითარების საფუძველია; არის მასობრივი ლიტერატურის პირველი ნიმუში. გარდა რელიგიურისა, ისტორიული ძეგლიცაა და, ამავე დროს, მსოფლიოს ყველაზე ცნობილი წერილობითი თარგმანი. 2019 წლის მონაცემებით, ბიბლია მთლიანად ან ნაწილობრივ 3384 ენაზეა თარგმნილი.

⁶ სიბრძნის სახლი, იგივე ბაით ალ-ჰიკმა (არაბ. بيت الحكمة) – ისლამური აკადემია, რომელიც 820-იან წლებში ხალიფა ალ-მამუნის მიერ ბაღდადში დაარსდა. ალ-მამუნი თანაურბრძნობდა მუთაზილიტებს, რაციონალური ისლამის მიმდევრებს. ისინი ადამიანის თავისუფლებას აღიარებდნენ და ზნეობის უმაღლეს კატეგორიად გონებას/გონიერებას მიიჩნევდნენ. ხალიფამ ორთოდოქსული ისლამი უარყო და სახელმწიფო რელიგიად მუთაზილობა გამოაცხადა (851 წელს სუნიტებმა კვლავ აღიდგინეს უფლებები). სიბრძნის სახლს ამ სწავლების მხარდამჭერებისთვის უნდა მიეწოდებინა ფაქტობრივი მასალა, რომელიც სასარგებლო იქნებოდა სასულიერო დაგვიბის

მთარგმნელს, ჰუნაინ იბნ ისხაკს, მისი მფარველი ხალიფა ალ-მამუნის კარზე, ორიგინალური და თარგმნილი სამეცნიერო ნაშრომების საფასურად მისი ფიზიკური წონის ოდენობის ოქრო გადაუხადეს. არაბული თარგმანი სერიოზულად ვითარდებოდა რელიგიის კონტექსტში; ყურანი მთარგმნელთა უდიდეს ინტერესს იწვევდა. რაც შეეხება შორეულ აღმოსავლეთს, ჩინეთს, საბერძნეთის მსგავსად, ისიც ჩაკეტილი და თვითკმარი კულტურა იყო, თუმცა ბუდიზმის გამოჩენის შემდეგ რამდენადმე გაიხსნა ინდური სამყაროსთვის, რომელმაც ჩინეთში ახალი სულიერი სწავლება შეიტანა. ამ პროცესის თანმდევიც თარგმანი იყო. უცხო მისაღებად ყოველვის ღია იყო იაპონია, სადაც თარგმანი მსოფლიოს საგანმანათლებლო-კულტურული მონაპოვრის მისაღებად უმნიშვნელოვანესი წყარო იყო. ამაზე ნიღბების იაპონური თეატრი გიგაკუ მოწმობს.

ადრე შუა საუკუნეების ევროპაში ძირითადად საერო ლიტერატურა ითარგმნებოდა. მთარგმნელობით ცენტრად ტოლედო იქცა, სადაც ესპანელების გარდა მრავლად ცხოვრობდნენ არაბულენოვანი ქრისტიანები (მოზარაბები). ესპანური და არაბული ენები ბილინგვურ გარემოს ქმნიდნენ; ქრისტიანობის გარდა აქ ძლიერი იყო ისლამის გავლენა, რამაც თავისებური მიკროკულტურა წარმოქმნა. ტოლედოში მოიყარა თავი არაბების მიერ ბაღდადში თარგმნილმა ანტიკურმა ლიტერატურამ: პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს, დემოსთენეს და სხვათა შრომებმა. განვითარებული იყო მეცნიერებები, განსაკუთრებით, საბუნებისმეტყველო. ევროპელი სწავლულები ტოლედოში ისეთი დისციპლინების შესასწავლად ჩადიოდნენ, რომლებიც დანარჩენ ევროპაში არ ისწავლებოდა. ყოველივე ეს მთარგმნელობით საქმიანობას უწყობდა ხელს. ზოგადად თარგმანის აქტუალიზება ევროპაში საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბებას უკავშირდება, რომელმაც დღისწესრიგში დააყენა საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო სისტემის შექმნა. 1088 წელს იტალიის ქალაქ ბოლონიაში პირველი უნივერსიტეტი დაარსდა, რასაც მთელი ევროპის მასშტაბით არა ერთი უნივერსიტეტის გახსნა მოჰყვა. მაგ., ოქსფორდისა (1167 (1254)) და კემბრიჯის (1209 (1231)) უნივერსიტეტები, ტულუზის უნივერსიტეტი (1229) და ა.შ. უნივერსიტეტებში ითარგმნებოდა ჯვაროსნების მიერ აღმოსავლური ლაშქრობებიდან წამოღებული, მანამდე ბიბლიოთეკებში დამალული ანტიკური ლიტერატურის ნიმუშები. ამან დასაბამი მისცა ევროპულ რენესანსსა და ჰუმანიზმს.

წარმართვაში, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიური ნაშრომები. ბაღდადში შეიკრიბნენ გამოჩენილი მეცნიერები ხალიფატის ყველა რეგიონიდან, რომელთაგან ბევრი შუა აზიისა და ირანის მკვიდრი იყო. სიბრძნის სახლს საკლ იბნ ჰარუნი ხელმძღვანელობდა. აქ იყო მდიდარი ბიბლიოთეკა. ბაით ალ-ჰიკმას ამოცანა ასევე იყო ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინის, ალქიმისა და ფილოსოფიის შესახებ ინდური და ძველი ბერძნული ნაშრომების არაბულ ენაზე თარგმნა.

⁷ გიგაკუ (იაპონ. 伎楽) – ძველი იაპონური თეატრალური წარმოდგენა. სიტყვა „გიგაკუ“ სანსკრიტიდან შევიდა ჩინურში: ბუდისტურ ტექსტებში ის ღვთაებისთვის მიძღვნილ მუსიკას აღნიშნავს. გიგაკუს წარმოშობის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა არსებობს. ერთი ვერსიით, ეს ხელოვნება ჩინური წარმოშობისაა, მეორე ვერსიით გიგაკუ შუა აზიიდან წამოვიდა. გიგაკუში გამოყენებული ზოგიერთი ნიღაბი ინდური და რომაული წარმოშობისაა და ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს უკავშირდება; კვეთის ტექნიკა ზოგ შემთხვევაში ახლოსაა სკვიტურთან. სხვა ვერსიით, გიგაკუ იაპონიაში კორეიდან შევიდა, სადაც მსგავსი ნიღბების წარმოდგენა არსებობდა. გიგაკუს გაჩენის გარემოებები შესაძლოა აბრეშუმის გზასაც უკავშირდებოდეს. ამ ხელოვნებამ მეფის სასახლეში შეაღწია და ბუდისტური რიტუალების ნაწილი გახდა. სპექტაკლი სამი ნაწილისგან შედგებოდა: შემსრულებელთა გამოსვლა; მუსიკალური ნომრები, პანტომიმები, ცეკვები; შემსრულებელთა გასვლა.

XVII-XVIII სს.-ში თარგმანი კლასიციზმის⁸ ესთეტიკის ნორმებს ეფუძნებოდა, რამაც დღევანდელი გაგებით ლიტერატურული იმაგოლოგია⁹ განავითარა. მთარგმნელები ნაწარმოებების თავისუფალ ინტერპრეტაციას ახდენდნენ, მთავარი „კარგი გემოვნების“ წესების დაცვა იყო. ამ პერიოდში თარგმანის თეორია დიდ ბრიტანეთში ვითარდებოდა; თარგმანის თეორეტიკოსები იყვნენ სერ ჯონ დენჰემი, აბრაჰამ ქოული, ალექსანდრ პოუპი და ჯონ დრაიდენი.

XIX საუკუნეში გაჩნდა ე.წ. *პოეტური თარგმანი*, როგორც ლიტერატურული თარგმანის ერთ-ერთი ქვეტიპი. ამ მხრივ მთელ ევროპაში ცნობილი გახდა ინგლისელი პოეტი ედვარდ ფიტცჯერალდი, რომელიც სპარსელი პოეტისა და ფილოსოფოსის, ომარ ხაიამის „რობაიების“ ინგლისურენოვანი თარგმანის ავტორია. ამ თარგმანმა უდიდესი გავლენა იქონია არა მარტო ინგლისურ, არამედ ზოგადად ევროპულ კულტურაზე. XIX საუკუნეში თარგმანის თეორეტიკოსები ორ რადიკალურად განსხვავებულ ჯგუფად გაიყვნენ: პირველ ჯგუფი თვლიდა, რომ მთარგმნელს მხოლოდ მექანიკური ფუნქციის შესრულება მოეთხოვება, ანუ ტექსტის ზუსტად თარგმნა, ავტორის გზავნილის სიტყვასიტყვით გადმოცემა. მეორე ჯგუფის წევრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მთარგმნელს განვითარებული ფანტაზია და შემოქმედებითი ნიჭი უნდა ჰქონდეს, რათა გადმოსცეს ავტორის მიერ დედანში გამოთქმული ყველა აზრი და, ამავდროულად, გაამდიდროს ენა, რომელზეც თარგმნის. ამ ეპოქის ცნობილი მოაზროვნე-მთარგმნელები იყვნენ ფრიდრიხ შლაიერმახერი, ვილიამ მორისი, ჯონ ჰენრი ნიუმენი, ტომას კარლაილი და მეთიუ არნოლდი.

XX საუკუნის დასაწყისისთვის *რომანტიკულ თარგმანებზე* მოთხოვნამ ისეთი ფენომენის გაჩენა განაპირობა, როგორცაა *ექსკლუზიურობის სული*: მთარგმნელი გახდა ელიტის წარმომადგენელი, ის მზად იყო მაღალი საზოგადოებისთვის შეეთავაზებინა ეგზოტიკური, უნიკალური პროდუქტი, რომლის შეფასება და დაფასება მხოლოდ რჩეულებს შეეძლოთ. სამეცნიერო მიმართულებად თარგმანმცოდნეობა XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც მთარგმნელობითი სკოლები გაჩნდა. ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომების კონფლიქტის და საბოლოო კონსესუსის შედეგად, ტექსტზე ორიენტირებული ახალი მულტიდისციპლინური მიდგომა გამოიკვეთა ტექსტოლოგიის,¹⁰ ლინგვისტიკის, კომპარატივისტიკის, კომუნიკაციის

⁸ კლასიციზმი (ლათ. classicus „სანიმუშო“) – მხატვრული სტილი და ესთეტიკური მიმართულება XVII-XIX სს. ევროპაში. მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, რომელიც ასახავს ადამიანის ბუნებრივ სწრაფვას ფორმისა და შინაარსის დახვეწილობის, მთლიანობის, სიმარტივისა და სიცხადისკენ. პირველად ეს იდეალები ანტიკურ ხელოვნებაში გვხვდება, ამიტომ კლასიციზმის ესთეტიკა ანტიკური მემკვიდრეობის ესთეტიკასთან ასოცირდება. კლასიციზმის მხატვრული სტილები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის გარემოებების, ადგილისა და დროის მიხედვით. ესენია XVI საუკუნის დასაწყისის რომაული კლასიციზმი, XVII საუკუნის ფრანგული კლასიციზმი, XVIII საუკუნის II ნახევრის დასავლეთევროპული ნეოკლასიციზმი, ამავე პერიოდის რუსული (ეკატერინესეული) კლასიციზმი, XIX საუკუნის დასაწყისის რომანტიკული კლასიციზმი, Nouveau და Novecento XIX-XX სს. მიჯნაზე, ნეოკლასიციზმი ხელოვნებაში, XX-XXI სს. ახალი პოსტმოდერნული კლასიციზმი.

⁹ იმაგოლოგია (ლათ. imago „გამოსახულება“, „სახე“) – ინტერდისციპლინური მეცნიერება „სხვის“, „უცხოს“ აღქმის, ფუნქციონირების და ინტერპრეტაციის კანონების შესახებ. სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემების ანალიზით, იმაგოლოგია ცდილობს განაზოგადოს „უცხო“ და გამოავლინოს საერთო იდეები გარე ობიექტების შესახებ ეროვნულ ცნობიერებაში.

¹⁰ ტექსტოლოგიური (ლათ. textum „სიტყვათა კავშირი“ და ბერძ. logos „სიტყვა“ – „სწავლება სიტყვაზე“) კვლევის ობიექტს არა ტექსტის შინაარსი, არამედ მისი სტრუქტურა წარმოადგენს. მკვლევარი იმ დებულებიდან ამოდის, რომ ნარატიულ ტექსტს უნიკალური სტრუქტურა აქვს, რადგან ის ავტორის შემოქმედებით ორიგინალურობას ასახავს. შემთხვევათა უმეტესობაში ასეთი ტექსტი თავისუფალია ფორმულარისგან: ავტორი თვითნებურად ირჩევს სიტყვებს, ადგენს მათ

თეორიის, სემიოტიკის, სოციოლოგიის, ეთნოლოგიის, კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ნეიროფიზიოლოგიისა და მათემატიკური ანალიზის კვეთაზე. თარგმანის ეფექტურობას კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს. მოგვიანებით გაჩნდა სინქრონული თარგმანი, როგორც ტექნოლოგიების განვითარების შედეგი. XX საუკუნის გამოჩენილი მთარგმნელები და თარგმანმცოდნეები არიან ი. ნაიდა, დ. რობინსონი, ს. ბასნეტ-მაკგერი, ა. პოპოვიჩი, რ. იაკობსონი, ჯ. სტაინერი, ვ. კომისაროვი, ნ. ნელიუბინი, ი. რეცკერი, ა. ფიოდოროვი, ა. შვეიცერი, ლ. ბარხუდაროვი, ვ. ვინოგრადოვი, ი. კაშკინი და სხვ. საქართველოში დარგი განავითარეს გ. გაჩეჩილაძემ, დ. ფანჯიკიძემ, გ. წიბახაშვილმა.

XXI საუკუნემ თარგმანის მეცნიერებას ახალი მოთხოვნები წაუყენა. თანამედროვე ტრანსლატოლოგია იყოფა **ნორმატიულ** (თარგმანის გარკვეული წესების გამოყენება)¹¹ და **დესკრიპტულ** (აღწერითი)¹² ნაწილებად. თარგმნა გაგებულია, როგორც „ახალი ტექსტის შექმნის პროცესი, რომელიც სრულად და ადეკვატურად ანაცვლებს ორიგინალ ტექსტს სხვა კულტურასა და განსხვავებულ კომუნიკაციურ სიტუაციაში“ (Прокопичев, 2010: 29). თარგმნა არ არის მხოლოდ ერთი სისტემის ნიშნების სხვა სისტემის ნიშნებით ჩანაცვლება, არამედ პირველის საშუალებით კოდირებული ინფორმაციის კონცეპტუალური სისტემის მეორე სისტემის ნიშნებით გადაცემაა. ენებს შორის ლინგვისტური (ლექსიკა, გრამატიკა, სტილისტიკა) და ექსტრალინგვისტური (სულიერი კულტურა და ისტორია) მსგავსება/განსხვავებები არსებობს. რაც უფრო ახლოსაა ენები ერთმანეთთან, მით მარტივი და, ამავე დროს, ზუსტია თარგმანი. ერთმანეთისგან დაშორებულ ენებში (რომლებიც, როგორც წესი, კულტურულადაც შორს არიან ერთმანეთისგან), შესაბამისობების დაძვება რთულია. ამიტომ მთარგმნელის მიერ გამოყენებული ტექნიკა ამოსავალი ენის (original language) და მიმღები ენის (recipient language) ურთიერთმიმართებასა და მთარგმნელობითი ამოცანის ხასიათზეა დამოკიდებული.

ცალკე დარგია ჰუმანიტარული ტექსტების თარგმანი, რომლის შემადგენელი ნაწილია ისტორიული ტექსტების თარგმანი. ჰუმანიტარული ცოდნა კაცობრიობის მიერ დაგროვებული კულტურული გამოცდილებაა. ის ამ სფეროში აკუმულირებული ინფორმაციით ოპერირებს და ეს, მათ შორის, ისტორიულ კვლევებსა და მათ თარგმანებზე აისახება. ისტორიული თარგმანი სპეციალისტისგან არა მხოლოდ ენების და დარგის, არამედ კონკრეტული ხალხის/ერის ცხოვრების, ყოფის, კულტურის, ლინგვოკულტუროლოგიის ცოდნას მოითხოვს. მთარგმნელი მკვლევარიც უნდა იყოს, მან უნდა იზრუნოს თეზაურუსის და ლოგიკის შენარჩუნებაზე, თარგმანი სწორად უნდა იკითხებოდეს და სწორად უნდა იყოს გაგებული სხვა ენის მატარებლის მიერ. ორიგინალი

თანმიმდევრობას წინადადებაში, ე.ი. ტექსტს თავისი შეხედულებისამებრ აყალიბებს, რაც თარგმანშიც უნდა აისახოს.

¹¹ თარგმანის ნორმა ხუთი სხვადასხვა ტიპის ნორმატიული მოთხოვნის ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება: 1) თარგმანის ეკვივალენტობის ნორმების; 2) თარგმანის ჟანრული და სტილისტური ნორმების; 3) თარგმანის მეტყველების ნორმების; 4) თარგმანის პრაგმატული ნორმების; 5) თარგმანის კონვენციონალური ნორმების.

¹² დესკრიპტული თარგმანი (ინგლ. descriptive < გვ. ლათ. descriptivus < descript „აღწერილი“) – მიმართულება ენათმეცნიერებაში. დესკრიპტივიზმის ფუძემდებლად და მის მთავარ თეორეტიკოსად ლ. ბლუმფილდი ითვლება. დესკრიპტივიზმის მთავარი ამოცანაა აღწეროს, თუ როგორ ხდება თარგმნის პროცესი რეალურად, ანუ გამოავლინოს და დაადგინოს ტექსტის ამოსავალი ენიდან მიმღებ ენაში გადატანის ობიექტურად არსებული კანონზომიერებები უკვე დასრულებული თარგმანების ანალიზით; ასევე მოახდინოს თარგმნის პროცესის ტერმინების მოდელირება.

და თარგმანი გვევლინებიან როგორც მოვლენების და ობიექტური სამყაროს ბინარული – საკუთარი და უცხო – შეხედულებების სისტემების პარალელური ნაკადები.

გამოიყოფა სამეცნიერო-პოპულარულ ჟანრში დაწერილი ისტორიული ტექსტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წმინდა სამეცნიერო ტექსტისგან. პირველის მთავარი მახასიათებელი წაკითხვის და აღქმის სიმარტივეა, მეორის – ინფორმაციის აზრობრივი დალაგება და სისტემატიზაცია, მისი მთელი სიცხადით და სისრულით გადმოცემა. მკაცრად სამეცნიერო ფუნქციონალური ტექსტისგან განსხვავებით, რომელიც სტანდარტიზებულ ენას იყენებს, სადაც დაუშვებელია პოლისემია, ცნებების და ტერმინების დამახინჯება, რომლებიც მაქსიმალურ დატვირთვას ატარებენ, სამეცნიერო-პოპულარულ ტექსტში ენობრივი გამომსახველობის საშუალებები გამოიყენება: მხატვრული, სასაუბრო, პუბლიცისტური და ა.შ. ამ მასალის თარგმნისას ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ორიგინალის აზრობრივი და სტილისტური ნიუანსების ბუნებრივი, ცოცხალი ენით გადატანაა (ამ შემთხვევაში სამეცნიერო ტექსტის თარგმანი პუბლიცისტური და მხატვრული ტექსტების თარგმანებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს იმეორებს). სამეცნიერო-პოპულარული ტექსტი ინფორმაციულად ჰეტეროგენული სტრუქტურაა, აერთიანებს მეცნიერების, პოპულარულობის და მხატვრულობის ელემენტებს, ანუ ტექსტოლოგიურად რთულია. ამასთანავე, ასეთ ტექსტს გაცილებით მარტივი სტრუქტურა აქვს წმინდა სამეცნიეროსთან შედარებით. ეს ფაქტი უნდა განაპირობებდეს სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის თარგმნის შედარებით სიმარტივეს, თუმცა პრაქტიკაში ასე არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის სინტაქსური წყობა შედარებით მარტივია, კომუნიკაციური ამოცანა რთულია, ენობრივი საშუალებები მრავალფეროვანია. ამ ჟანრის ამოცანაა მკითხველისთვის შემეცნებითი ინფორმაციის მიწოდება და, ამავე დროს, ამ ინფორმაციით გატაცება. თემის გაცნობა, მის მიმართ ინტერესის გაღვივება ემოციური საშუალებებით ხდება, ინფორმაცია არა უბრალოდ ფაქტების კონსტატაციაა, არამედ ესთეტიკურად დატვირთულია, ემოციურ ინტელექტს ააქტიურებს. ასეთივე უნდა იყოს თარგმანიც.

მაღალი ხარისხის ისტორიული სამეცნიერო-პოპულარული ტექსტის მაგალითია ჟაკ ლე გოფის *La civilisation de l'Occident Médiéval* („შუა საუკუნეების დასავლეთის ცივილიზაცია“), რომელიც ავტორის პირველი დიდი მონოგრაფიაა, წარმოადგენს ეპოქის ერთიანი ხედვის მცდელობას და ადაპტირებულია ფართო მკითხველზე. არსებობს წიგნის კონვენციური რუსული თარგმანი (მთარგმნელები: ე. ლებედევა, ი. მალინინა, ვ. რაიცესი, პ. უვაროვა).

ისტორიული მოვლენები და პერსონაჟები ხშირად მხატვრულ ლიტერატურაში გადადიან. მხატვრული ისტორიული ნაწარმოები, ჟანრიდან გამომდინარე, კულტურული და ისტორიული კონტექსტის, ნარატივის, არქიტექტონიკის, მხატვრული სემანტიკის და იდიოსტილის გარკვეულ თავისებურებებს გულისხმობს. ზოგჯერ მწერალი ან პოეტი რომელიმე ისტორიულ მოვლენასა თუ პერიოდზე ირიბად მიუთითებს, ასახელებს ადგილს, სადაც ამბავი მოხდა, ან ახსენებს წარსული ეპოქების ცნობილ ადამიანებს. ამ შემთხვევაში თხრობისას მნიშვნელოვანია სხვადასხვა ხალხის *სამყაროს ენობრივი სურათი*¹³ და *ფონური ინფორმაცია*.¹⁴ ისევე, როგორც სამეცნიერო-ისტორიული ტექსტის

¹³ თანამედროვე მეცნიერება, ენის და აზროვნების დიფერენცირებისას, სამყაროს/მსოფლიოს ორ სურათს (Language Picture of the World) განასხვავებს: ენობრივს და კონცეპტუალურს. სამყაროს ენობრივი სურათი ცნობიერების კოგნიტური აქტივობის პროდუქტია, რომელიც წარმოიქმნება აზროვნების, რეალობის და ენის, როგორც აზრების გამოხატვის საშუალების, ურთიერთქმედებით. სამყაროს კონცეპტუალური სურათი უფრო მდიდარია, ვიდრე სამყაროს ენობრივი სურათი, რადგან მის შექმნაში აზროვნების სხვადასხვა შრე მონაწილეობს, მათ შორის, არავერბალური (თელია, 1988: 179).

მთარგმნელმა, მხატვრულ-ისტორიული ტექსტის მთარგმნელმაც იმ ქვეყნის კულტურა და ისტორია უნდა იცოდეს, სადაც მოქმედება მიმდინარეობს; უნდა ფლობდეს ამოსავალი სამყაროს ენობრივ სურათს; გამსჭვალული უნდა იყოს ენების „სულით“ და მკითხველს გაუხსნას უცხო კულტურის კოდი. კარგი თარგმანი შესაძლებელს ხდის დედნის შინაარსის, იდეების და სტილის გადატანას მიმღებ ენაში, კონკრეტული ხალხის სოციალური მეხსიერების, სულიერი ფასეულობების, კულტურის, ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნებით.

ეპიკური ისტორიული მხატვრული ნაწარმოების ჯეროვნად თარგმნის მაგალითია ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხია“ რუსული ავტოთარგმანი. მასში შენარჩუნებულია XIX-XX სს. მიჯნის ქართული რეალობა, ეროვნული სული, დენოტატიური (საგნობრივი), სიგნიფიკატიური (ემოციური, წარმოსახვითი), კონცეპტუალური (შინაარსობრივი), ნომინაციური (სახელდებითი) მნიშვნელობები, ლინგვოკულტურემები,¹⁵ რეალიები,¹⁶ ფსიქოლინგვისტური მახასიათებლები.

კვლევის მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია მულტი- და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები: ისტორიული, ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, კულტურის კვლევები, კონტენტ-, კომპარატიული- და დისკურსის ანალიზი; ლოგიკური მოდელირების, ინტროსპექციის, რეტროსპექციის მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა.

ისტორიული თარგმანი, როგორც სამეცნიერო საქმიანობის სახეობა

ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა და ენობრივი საზღვრების რღვევამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სამეცნიერო ნაშრომების საზოგადოდ მიღებული ენის და სტილის ტრანსფორმაციის პროცესი. თანამედროვე სამეცნიერო ტექსტი ემოციურად ღარიბი და ინფორმაციულად და ტერმინოლოგიურად დატვირთულია, რაც მის სხვა ენებზე ტრანსლირებას და საერთაშორისო მასშტაბით გაგებას აადვილებს, თუმცა თარგმნისას პროფესიონალური მიდგომა სჭირდება. საუკეთესო შედეგი ორივე დარგის სპეციალისტის – ისტორიკოსის და მთარგმნელის – კოლაბორაციით მიიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორია ფაქტებზე დაფუძნებული მეცნიერებაა, რომელიც აღწერს კონკრეტული ხალხის, ქვეყნის ცხოვრებას და კულტურას ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში, და, შესაბამისად, თარგმნაც ზუსტი სჭირდება, ამ ტიპის ტექსტი სიტყვასიტყვით გადატანისას ხშირად გაუგებარია უცხოენოვანი მკითხველისთვის. ამიტომ მთარგმნელის უმთავრესი ამოცანა საწყისი ტექსტის სწორი ინტერპრეტაცია,

¹⁴ ფონური ინფორმაცია (Background Information), როგორც სოციოკულტურული ფენომენი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. ის მთარგმნელობითი სირთულეების ერთ-ერთი წყაროა. განსხვავდება: ა) თანამედროვე (მოქმედი) და ისტორიული (მომკვლევადი, ისტორიზმებით გამოხატული) ფონი; ბ) გრძელვადიანი დამატებითი ინფორმაცია (ეროვნული სულიერი კულტურის საფუძვლები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა); გ) მოკლევადიანი დამატებითი ინფორმაცია (ხშირად წარმოადგენს სუროგატს, კულტურის წიდას: მოდური სიტყვები, გამონათქვამები, ადამიანების სახელები, მეტსახელები და ა.შ.).

¹⁵ ლინგვოკულტურემა – რთული დონეთაშორისი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური (კონცეპტუალური ან საგნობრივი) შინაარსის დიალექტიკურ ერთობას.

¹⁶ რეალია – მატერიალური კულტურის, ეთნო-ეროვნული მახასიათებლების, წეს-ჩვეულებების, რიტუალების, ისტორიული ფაქტების ან პროცესების აღმნიშვნელი ლექსემები; ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ ლექსიკური ეკვივალენტები სხვა ენებში.

სწორი განმარტებაა. საგულისხმოა, რომ მთარგმნელს სხვაგვარად *ინტერპრეტატორი*¹⁷ ეწოდება, ანუ თარგმნა არის დედნის ტექსტის ძირითადი აზრის გახსნის ჰერმენევტიკული პროცესი. ისტორიულ წყაროებთან ჰერმენევტიკის მეთოდების გამოყენებისას მთელი რიგი ფაქტორები იჩენს თავს: ავტორი ტექსტს ქმნის გარკვეულ კულტურულ გარემოში, ამიტომ მნიშვნელობა აქვს მის სოციალურ სტატუსს, განათლებას, იდეოლოგიას, ხელისუფლებისადმი დამოკიდებულებას. ერთი მხრივ, ტექსტი ეპოქის, ლიტერატურული ჟანრის ნაყოფია, მეორე მხრივ, ავტორის სულიერი ცხოვრების, რომელიც ისტორიული ეპოქის ნაწილია. ეს ორი პოზიცია *ჰერმენევტიკულ წრეს*¹⁸ ქმნის. გაგების დიალექტიკურ პროცესში უმაღლესი კატეგორია და ჰერმენევტიკული წრის დაძლევის გარანტი *ტექსტის მთლიანობაა*.¹⁹ როგორც დედანი, ისე თარგმანი ლოგიკურად მთლიანი უნდა იყოს.

ისტორიული ტექსტის თარგმნისას განსაკუთრებულ სირთულეს არა ფაქტების, არამედ კულტურული კონცეპტების გადატანა წარმოქმნის. კულტურის ისტორიასთან მიმართებით საინტერესო მიდგომა შეიმუშავა ამერიკელმა ანთროპოლოგმა, კულტუროლოგმა, ეთნოლოგმა ლესლი უაიტმა. მისი თეორიის მიხედვით, მნიშვნელობების წარმოების ხერხები განსხვავებულია ორიგინალსა და თარგმანში. საკითხი ორი პოზიციიდან განიხილება: 1) ენა – კულტურა – ავტორი; 2) ენა – კულტურა – ავტორი – მთარგმნელი. აქ საკვანძო საკითხებია:

- წყაროს წარმოშობის ისტორიულ-სოციალური პირობები;
- წყაროში შემავალი ეთნო-კულტურული და ზნეობრივი რეალიები, რომლებიც შეიცავენ:

- ა) ეთიკურ კატეგორიებს;
- ბ) რელიგიას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, რიტორიკას;
- გ) სამართლებრივ ერთეულებს;
- დ) კულტურის ძირითად კონცეპტებს;
- ე) ნაციონალურ ელემენტებს;
- ვ) ფრაზეოლოგიზმებს, ანდაზებს, სხარტულებს;
- ზ) თეონიმებს, ტოპონიმებს, ანთროპონიმებს;
- თ) მითებს, ლეგენდებს, ხალხურ იუმორს, თხრობის მანერას.

ნაციონალური ელემენტები უცხო ენაზე მათი კატეგორიის მიხედვით უნდა გადავიდეს: აბსოლუტური/სრული/ნაწილობრივი რეალია (სტრუქტურული ეგზოტიზმი); რეალია, რომელსაც არა აქვს ენობრივი, მაგრამ აქვს კონცეპტუალური ეკვივალენტი; კონოტაციური სიტყვები. ასევე უნდა გადავიდეს კულტურის ძირითადი კონცეპტები: მიწა/სახლი, სიცოცხლე/სიკვდილი, სიყვარული/სიძულვილი, თანაგრძნობა/გულგრილობა, სიკეთე/ზოროტება, სიბრძნე/სიბრიყვე, და ა.შ. კატეგორიის გათვალისწინებით მთარგმნელი ირჩევს *სიტყვასიტყვით/ზუკვალურ თარგმანს* (წინადადების შემადგენელი ელემენტების: ლექსიკა, სტილისტიკა, გრამატიკა –

¹⁷ Interpreter is a person whose job is to translate what someone is saying into another language – ინტერპრეტატორი არის ადამიანი, რომლის ამოცანაა სხვისი ნათქვამის თარგმნა მეორე ენაზე.

¹⁸ ჰერმენევტიკული წრე (გერ. Hermeneutische Zirkel) – მეტაფორა, რომელიც აღწერს, ერთი მხრივ, ახსნისა და ინტერპრეტაციის და, მეორე მხრივ, გაგების ურთიერთმიმართებას. მთლიანის გაგება შეუძლებელია ნაწილების გააზრების გარეშე, მაგრამ თავად ეს ნაწილები, თავის მხრივ, გააზრებულია მთლიანის საფუძველზე.

¹⁹ ტექსტის მთლიანობა სისტემური ნიშანია. წარმოადგენს თემატური, კონცეპტუალური, მოდალური, მიკრო- და მაკრო- ელემენტების ერთიანობას. ერთი მხრივ, ყველა დეტალი მთლიან ტექსტს ექვემდებარება, არის ამ მთლიანის ფუნქციური ნაწილი; მეორე მხრივ, ტექსტის მთლიანობა გამოიხატება მისი ნაწილების ავტონომიურობაში. კონტენტის თვალსაზრისით, ტექსტის მთლიანობა კომუნიკაციურია.

გადმოცემა), *ტრანსლიტერაციას* (სიტყვის გრაფიკული კვლავადგენა სამიზნე ენის ასოებით), *ტრანსკრიფციას* (ორიგინალის ბგერების ასახვა სამიზნე ენაში), *კალკირებას* (ლექსიკური ანალოგიით ჩანაცვლება), *სინონიმურ/დუბლეტურ თარგმანს* (სინონიმის შეირჩევა, თუ ენაში რამდენიმე ფუნქციურად თანაბარი სინონიმი არსებობს). ძველი ისტორიული ტექსტების თარგმანებში ადგილი აქვს ეთნონიმების, ეთნორეალიების *ეგვონიას* (მიმღებ ენაზე მორგებული კეთილხმოვნებით გადატანა), *ტრანსპლანტაციას* (ამოსავალი ენის ასოების გრაფიკული კვლავადგენა), *ფუნქციურ/პრაგმატულ შესაბამისობას* (მიმღებ ენაზე დედნის მსგავსი რეაქციის გამოწვევა), *გენერალიზაციას* (კონკრეტულის ზოგადით/ფართო მნიშვნელობით ჩანაცვლება), *კონკრეტიზაციას* (ზოგადის კონკრეტულით/ვიწრო მნიშვნელობით ჩანაცვლება) და ა.შ.

პრობლემატურია ღმერთების და ღვთაებების სახელდებების (თეონიმების), საკუთარი სახელების (ანთროპონიმების), გეოგრაფიული სახელწოდებების (ტოპონიმების) გადატანა. თანამედროვე თარგმანმცოდნეობის კრიტერიუმებით ლექსიკის ეს პლასტი არ ითარგმნება. თუმცა, ამ საკითხში გადამწყვეტ როლს ტრადიცია თამაშობს, ანუ ის, თუ როგორ გადავიდა და დამკვიდრდა ამა თუ იმ ენაში ესა თუ ის სახელი/აღმნიშვნელი/ზედწოდება. ასეთი სახელდებები, როგორც წესი, *პრეცედენტულია*: კონკრეტული ისტორიული პირის, რელიგიური მოღვაწის, წმინდანის სახელი განიხილება არა როგორც მრავლობითი, ზოგადი, არამედ როგორც ერთეული, კერძო შემთხვევა და მიმღებ ენაში დამკვიდრებული ფორმით გადადის, ანუ *ტრანსპოზიციით* (ეტიმოლოგიური შესაბამისობა), *დეონიმიზაციით* (მეტაფორული ანთროპონიმი) და *სემანტიკური თარგმანით* (შინაარსობრივი შესატყვისი).

საინტერესოა თეონიმი *მარიამ ღვთისმშობელი*, როგორც უფალი იესო ქრისტეს დედის სახელდება. სახელს *მარიამი*²⁰ სხვადასხვა ენაზე განსხვავებული ფორმა აქვს: იუდ.-არამ. מַרְיָם (მარიამ); ბერძ. Μαριάμ (მარიამ), Μαρία, (მარია); ლათ. Madonna (მადონა); რუს. Мария (მარია); ინგლ. Mary (მერი); არაბ. مَرْيَم (მარიამ), თურქ. Meryem (მერიემ) და ა.შ. ქართულში სახელმა სრულად შეინარჩუნა ამოსავალი, ებრაულ-არამეული ფორმა, ანუ ტრანსპოზიციის/ტრანსკრიფციით გადმოვიდა. თეონიმი *ღვთისმშობელი*²¹

²⁰ სახელის *მარიამი* მნიშვნელობა საუკუნეების განმავლობაში საკამათო იყო. ითვლება, რომ ის მომდინარეობს ებრაული ფუძიდან מַרְיָם (მ-რ, მარ) – „მწარე“, მრ.რ. מַרְיָם (მირიმ, მირიამ). ალტერნატიული ვერსიაა ძირი מַרְיָם (მ-რ-ი) – „დაუმორჩილებელი“. სხვა ვერსიებით: „საყვარელი“, „სასურველი“, „მშვენიერი“, „სევდიანი“, „ქალბატონი“. ეს უკანასკნელი სემა ასახულია ღვთისმშობლის სახელდებაში მრავალ ენაზე. ბიბლიაში სახელი *მარიამ/მირიამ/მარა* პირველად გვხვდება გამოსვლათა წიგნში (15:20) – „აილო ხელში დაფდაფი მირიამ წინასწარმეტყველმა, აარონის დამ, და მოჰყენნ მას დედაკაცები დაფდაფებით და დააბეს ფერხული“. რუთის წიგნში (1:20) ნაყომი, რუთის დედამთილი, პირდაპირ განმარტავს სახელის მნიშვნელობას, როდესაც მოაბიდან ისრაელში, ბეთლემში ბრუნდება – „უთხრა მათ: ნუღა დამიძახებთ ნაყომის (სიამეს), დამიძახებთ *მარა* (გამწარებული), რადგან მეტისმეტად გამამწარა ყოვლადმღიერმა“.

²¹ ახალ აღთქმაში სიტყვა „ღვთისმშობელი“ არ ფიგურირებს. იოანეს სახარებაში მარიამი მოიხსენიება როგორც იესოს დედა: „მესამე დღეს ქორწილი იყო გალილეას კანაში, და იყო იქ *ღესლს დედა*“ (იოანე 2:1). ლუკას სახარებაში ის ქალწულად (ბერძ. Παρθένος) მოიხსენიება: „ხოლო მეექვსე თვეს მოვლინებულ იქნა გაბრიელ ანგელოზი ღმერთის მიერ გალილეის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ნაზარეთი, ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, და სახელი მისი – იოსები, დავითის მოდგმისა, ხოლო სახელი ქალწულისა – *მარიამი*“ (ლუკა 1:26-27). ეკლესიის ისტორიკოსის სოკრატე სქოლასტიკოსის თანახმად, ღვთისმშობელს ორიგენეს ნაშრომში (III საუკუნის შუა ხანები) ეწოდა „თეოტოკოსი“ (ბერძ. Θεοτόκος; Θεός „ღმერთი“ + τόκος „დაბადება“) – „ორიგენე პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეს კომენტარების პირველ ტომში აცხადებს, თუ რატომ ეწოდა მას ღვთისმშობელი და დეტალურად სწავლობს ამ საგანს“. ამ ნაშრომს დღემდე არ მოუღწევია. თეოლოგი, პატროლოგი და მთარგმნელი, დეკანოზი ოლეგ დავიდენკოვი ვარაუდობს, რომ ტერმინი „ღვთისმშობელი“ ალექსანდრიულ სკოლაში გაჩნდა არა უადრეს III

დასავლურ/კათოლიკურ ტრადიციაში ლათინური Virgo Maria-დან (ქალწული მარია) ამოდის: ინგლ. Virgin/Holy Mother/Our Lady (ქალწული/წმინდა დედა/ჩვენი ქალბატონი); იტალ. Madonna/Mia Donna/Nostra Donna (მადონა/ჩემი ქალბატონი/ჩვენი ქალბატონი); ფრანგ. Notre Dame (ჩვენი ქალბატონი); სლოვაკ. Panna Maria (ქალბატონი მარია); სლოვენ. Devica Marija (ქალწული მარია); ფინ. Neitsyt Maria (ქალწული მარია); შვედ. Jungfru Maria (ქალწული მარია) და ა.შ. ეს ფორმები დეონიმოზაციის და სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგია. აღმოსავლურ/მართლმადიდებლურ ეკლესიებში სახელდება ბერძნულ Θεοτόκος (ღვთისმშობელი) ეფუძნება: ძვ. სლავ. Богородица/Приснодева/Пресвятая Дева (ღვთისმშობელი/მარად ქალწული/ყოვლადწმიდა ქალწული); ამ ფორმებს იმეორებენ რუსული, უკრაინული, ბელარუსული ენები. ისლამურ ტრადიციაში გვხვდება:²² არაბ. عمران سید „სეიდე მარიამ“ (ქალბატონი მარიამ(ი); თურქ. Tanrı'nın Annesinin (ღვთისმშობელი), Meryemana (დედა მერიემ(ი), ანუ აღმოსავლურ-დასავლური ტრადიციების შერეული ფორმები. ქართულში თეონიმი ორიგინალურ ბერძნულ ფორმას იმეორებს, ანალოგიით, კალკირებით არის გადმოტანილი.

ცალკე საგანია საეკლესიო-რიტუალური ტერმინოლოგია სხვადასხვა ენაში დამკვიდრებული ფორმებით. მოვიყვან გიორგიევსკის ტრაქტატის დამატებითი მუხლის რუსულენოვანი დედნის ნაწყვეტს, რომელიც ორმაგად საინტერესოა – ისტორიული და რელიგიური თავლსაზრისით. აქვია ნაწყვეტის ჩემ მიერ შესრულებულ ქართული თარგმანი: «В какой силе ответили мы Царю Ираклию на Его письмо от вас с Полковником Тамарою присланным посмотрите из списка грамоты Нашей к нему при сем же и в оригинале сообщаемой, в новое доказательство Нашего к нему, к его дому и его народу в благоволение. Мы соизволяем, чтобы сын его, ныне уже в монашеском звании находящийся, для посвящения его в сан Епископа, в престольный наш город Москву прислан был, второму сыну жалуем от Нас сверх прочих знаков крест и папагию. Мы к вам посылаем вместе с крестом, пожалованным от Нас их Каталикосу или первенствующему Архиепископу для употребления на обыкновенном его клубук».²³ – „როგორი ძალისხმევით ვუპასუხეთ მეფე ერეკლეს მის წერილზე, რომელიც თქვენგან მივიღეთ პოლკოვნიკ ტამარას ხელით, იხილეთ მისდამი ჩვენს მიერ ბოძებული სიგელის ასლში, და ასევე ორიგინალში, როგორც ახალი მტკიცებულება ჩვენი კეთილგანწყობისა მისი, მისი სახლისა და მისი ხალხის მიმართ.

საუკუნისა. კანონიკურად წოდება „ღვთისმშობელი“ მესამე (ეფესოს) მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაამტკიცა 431 წელს. სასულიერო ლიტერატურა ღვთისმშობელს, ასევე, ზეციურ დედოფალს (ლათ. Regina Coeli, რუს. Царица Небесная და ა.შ.) უწოდებს.

²² ღვთისმშობელს ისლამში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის ისა (იესო) წინასწარმეტყველის დედაა. მუსლიმები მას თავყვანს სცემენ, როგორც მართალს, წმინდა ისტორიაში გამორჩეულ ქალს, სიკეთის, სიწმინდის, ქალური ღირსების, სილამაზის, უფლის მორჩილების მაგალითს. იერუსალიმში, გეთსიმანიის ბაღში, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის აღმოსავლეთ ეკვდერის სამხრეთ კედელში არის ნიშა – მუსლიმური მიჰრაბი, სადაც 661 წელს სიტ მარიამის (წმინდა მარიამის) წინაშე ლოცულობდა ომაიადის პირველი ხალიფა მუავია იბნ აბუ სუფიანი (603-680), კურაიშების ტომის ერთ-ერთი ლიდერის, წინასწარმეტყველი მუჰამედის მეგობრის, აბუ სუფიან იბნ ჰარბის ვაჟი (Церковь Успения Богородицы. Гробница Марии. <http://www.e-reading.club/chapter.php/1011627/6/sergey-balandin-pyatov-evangelie-chast-6-ekzegetika-serdca.html>).

ღვთისმშობლის სახელი „მარიამი“ ყურანში 34-ჯერ გვხვდება, ერთ-ერთი სურა (№19) მის სახელს ატარებს. ეს ფაქტი საგულისხმოა იმითაც, რომ ყურანში ქალებს შორის მხოლოდ მარიამი მოიხსენიება სახელით, დანარჩენები ნახსენებია მდედრობითი სქესის ნაცვალსახელებით ან ქმრის სახელებით (ლობჟანიძე, 2005: 11).

²³ 15.840. Сентября 30. Высочайше утвержденный дополнительный Артикуль к договору с царем Ираклием II. – *О венчании и помазании на Царство царей Карталинских и Кахетинских* (15.840. სექტემბრის 30. მეფე ერეკლე II-სთან დადებული ხელშეკრულების დამატებითი მუხლი, დამტკიცებული უმაღლესი ხელისუფალის მიერ. – *ქართლისა და კახეთის მეფეთა მეფედ კურთხევისა და მირონცხების შესახებ*).

ჩვენ ნებას ვართავთ, რომ მისი ვაჟი, რომელიც ახლა უკვე ბერის წოდებაშია, ეპისკოპოსის ხარისხში ხელდასმისთვის გამოიგზავნოს ჩვენს სატახტო ქალაქ მოსკოვში; მეორე ვაჟს ჩვენგან, სხვა ნიშნების გარდა, ეწყალობა ჯვარი და პაპაგია. მათი კათალიკოსის ან მთავარეპისკოპოსისათვის გიგზავნით ჩვენგან ბოძებულ ჯვარს, რათა გამოიყენოს მის ჩვეულ კუნკულზე დასამაგრებლად“. ტექსტის თარგმნისას მივმართე მართლმადიდებლური საელქესიო ცნება/ტერმინების ქართულ კანონიკურ ფორმებს, ასევე, შევეცადე დამეცვა რუსეთის საიმპერატორო კარისთვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი წერილობითი სტილი, შევინარჩუნე არქაული ლექსიკა. ქართველი მეფის სახელი, რომელიც რუსულად *Иракли*-თ არის წარმოდგენილი, ქართულად დამკვიდრებული ფორმით, *ერეკლეთი* გადმოვიტანე.

აქტუალურია ზედწოდებების ენიდან ენაში გადატანა. თარგმანის თანამედროვე მეთოდოლოგიის თანახმად, ზედწოდებები, რაც ისტორიული კუთხით განსაკუთრებით ხშირია მეფეთა სახელდებებში, არ ითარგმნება, მეორე ენაზე ორიგინალის ფორმით გადადის და მნიშვნელობის დეფინიცია ხდება. მაგ., დიდი ქართველი მეფის დავით IV-ის წოდება (ეპითეტი) „აღმაშენებელი“ რუსულში დამკვიდრდა როგორც Давид Строитель, ინგლისურში –David the Builder, თუმცა არც ერთი ეს ფორმა ზუსტად არ გადმოსცემს ქართული „აღმაშენებლის“ სემანტიკას. რუსული «строитель» ქართულად „მშენებელს“ ნიშნავს (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983: 739). რუსულის კალკია ინგლისური „builder“. მოხდა წოდების დეონიმიზაცია, რაც შემდგომში ტრანსპოზიციად და პრეცედენტად იქცა. ბოლო დროს რუსულ თარგმანებში გამოჩნდა ფორმა Возроновитель, რაც ასევე არაადეკვატურია: «возроновление» – „განახლება“, „აღდგენა“ (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983: 78). თარგმანში უნდა დარჩეს Давид Агмашенебели/David Agh(g)mashenebeli, ე.ი. ტრანსლიტერაციით, ან ტრანსკრიფციით გადავიდეს. თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ენაზე ისტორიული მოღვაწის უკვე დამკვიდრებული სახელდების შეცვლა ძალზე რთულია და, ჩემი აზრით, გაუმართლებელიც. დავით IV-ს მთელი მსოფლიო სწორედ დამკვიდრებული ზედწოდებით Строитель/Builder იცნობს, ანუ ტრადიციული ფორმით, რომლის შეცვლაც იდენტიფიკაციას გაართულებს.

გეოგრაფიული და ისტორიული მოვლენების სახელწოდებების გადატანისას აუცილებელია გაირკვეს, კონკრეტულად რომელ ადგილზე ან ფაქტზეა საუბარი ისტორიულ წყაროში, რადგან ხშირად გეოგრაფიული ობიექტები და ისტორიული მოვლენები სხვადასხვაგვარადაა მარკირებული. მთარგმნელმა უნდა მიმართოს იმავე ტრანსლიტერაციას ან ტრანსკრიფციას და საჭიროების შემთხვევაში განმარტოს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს დედაქალაქის სახელდება ისტორიულ რეტროსპექციაში. თბილისის ძველი ქართული სახელწოდებაა „ტფილისი“.²⁴ ამ ძველი ფორმიდან წარმოდგება მისი სახელდება სხვა ენებზე: ბერძ. Τίφλις (ბიზანტიური ხანიდან) – ტი(ფ)ლიზა; ლათ. Tiphlis/Tephlis/Tiphilis; Tiphlitana; Triphelis – ტი(ფ)ლის/ტე(ფ)ლის/ტი(ფ)ლის; ტი(ფ)ლიტანა/ტრი(ფ)ელის; არამ.-ებრ. תִּפְלִיִּס – ტი(ფ)ლის; სპარ. تيفليس – ტი(ფ)ლის; თურ. Tiflis – ტი(ფ)ლის. რუსული Тифлис – ტი(ფ)ლის არამეულ-სპარსულ-თურქულ ფორმას იმეორებს, მასვე მოსდევს ევროპულ ენებში დამკვიდრებული Tiflis – ტი(ფ)ლის. ტოპონიმის სხვა ენებზე გადატანა ევფონიური ტრანსპოზიციის კლასიკური მაგალითია. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულში ქალაქის

²⁴ „ტფილი“ ამჟამინდელი „თბილის“ ძველქართული ფორმაა: „დაჩიმ განასრულა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“ – წერს ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის, დაჩის, შესახებ მემატთანე ჯუანშერი. ქართულ ისტორიულ წყაროებში ქალაქის სახელწოდება პირველად სწორედ აქ გვხვდება. (როცა ტფილისი გახდა თბილისი. URL: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1539743.html>).

თანამედროვე სახელწოდება „თბილისი“ დამკვიდრდა (სიტყვის „ტფილი“ – „თბილი“ ფონეტიკური ცვლილების კვალდაკვალ), რომელიც ბევრმა ენამ მიიღო ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიფციით: Тбилиси (რუს.) Tbilisi (ინგლ.) Tbilisi (იტალ.), თბილს (ივრ.); სხვებმა კი ძველი ვარიანტი დატოვეს.

ისტორიული რეალიების გადატანის მაგალითად მოვიყვან ილფისა და პეტროვის რომანის «Двенадцать стульев» („თორმეტი სკამი“/“The Twelve Chairs”) ინგლისურ და ქართულ თარგმანებს: «А можно было завтра же пойти в Стардеткомиссию и предложить им взять на себя распространение еще не написанной, но гениально задуманной картины: «Большевики пишут письмо Чемберлену», по популярной картине художника Репина: «Запорожцы пишут письмо султану» (Ильф, Петров, 2022: 28) / “He could go the next day to the Stargorod Commission for the Improvement of Children’s Living Conditions and suggest they undertake the popularization of a brilliantly devised, though yet unpainted, picture entitled “The Bolsheviks Answer Chamberlain” based on Repin’s famous canvas “The Zaporozhe Cossacks Answer the Sultan” (მთარგმნელი – ჯონ რიჩარდსონი, Ilf, I., Petrov, E. URL: http://az.lib.ru/i/ilfpetrov/text_0100.shtml). Большевик/Bolshevik/ბოლშევიკი საბჭოთა რეალიაა, საერთაშორისოდ ცნობილი და დამკვიდრებული, ამიტომ თარგმანში ტრანსლიტერაციით გადადის. საჭიროების შემთხვევაში განმარტება შეიძლება დაერთოს. Запорожцы/Zaporozhe Cossacks/ზაპოროჟიელები/ზაპოროჟიელი კაზაკები – კონკრეტიზაციის სტრატეგიაა, აღწერითი/განმარტებითი ტრანსფორმაცია, რადგან რუსული ტოპონიმიდან მომდინარე ისტორიზმია, რომელიც პირდაპირი გადატანისას ინგლისურენივანი მკითხველისთვის შეიძლება გაუგებარი იყოს. შესაბამისად, მოყვანილი ინგლისური თარგმანი სავსებით ადეკვატურია. წიგნის ქართულ თარგმანში (მთარგმნელი – რამაზ კობიძე) მოცემული პასაჟი ასე ჟღერს: „გარდა ამისა, მას შეეძლო ხვალვე სტარგოროდის საბავშვო კომისიაში წასულიყო და ჯერ დაუხატავი, მაგრამ გენიალურად ჩაფიქრებული სურათის გავრცელება შეეთავაზებინა: „ბოლშევიკები წერილს წერენ ჩემბერლენს, მხატვარ რეპინის პოპულარული სურათის „ზაპოროჟიელების“ მიხედვით“. აქ ორივე რეალია – „ბოლშევიკიც“ და „ზაპოროჟიელიც“ ტრანსლიტერაციით არის გადმოტანილი.

ისტორიული ტექსტების თარგმანში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივ დოკუმენტებს.²⁵ თარგმანის ამ ქვედარგს ისტორიული **ლინგვოიურისტიკა**, იგივე **იურისლინგვისტიკა** სწავლობს. იურიდიულ ტერმინოლოგიას გამოხატული ეროვნულობა ახასიათებს, რომელიც კონკრეტული საზოგადოების მორალს და ზნე-ჩვეულებებს ასახავს ისტორიულ პრიზმაში. შესაბამისად, მთარგმნელმა **სამართლის ისტორია** უნდა იცოდეს. ასეთი მასალის თარგმანი ოფიციალურ-საქმიან სტილში სრულდება და სიზუსტით გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძველი რუსული სამართლის სარეგისტრაციო-საადრიცხვო სახეობა Сотная грамота.²⁶ ტერმინის

²⁵ კანონი სხვადასხვანაირად იწერება, ეპოქის და ქვეყნის მიხედვით. ისტორიის განმავლობაში სამართალმცოდნეები ყოველთვის გამოწვევების წინაშე იდგნენ, რაც დაკავშირებულია მსოფლიოს ენობრივ მრავალფეროვნებასთან. მაგ., იურიდიული ტექსტების მთარგმნელებს უწევდათ ლათინურ ენაზე დაწერილი „რომის სამართლის“ თარგმნა სხვა ენებზე მისი გავრცელების და გაგების მიზნით. ზოგჯერ მათ ასევე უწევდათ ერთ ადგილობრივ ენაზე არსებული ზეპირი ჩვეულებითი სამართლის თარგმნა სხვა ენაზე დაწერილ კანონად.

²⁶ სოტნაია გრამოტა – XV საუკუნის ბოლოდან რუსეთში მიწის ფონდის აღწერა (კადასტრი) იქმნება. ასეთ აღწერებს ადგილებზე საგანგებოდ გაგზავნილი მოხელეები – აღმწერები/აღმრიცხველები (писцы) აწარმოებდნენ, რომლებიც აღწერის/აღრიცხვის წიგნებში (писцовые книги) ასახავდნენ დასახლებებს, აღწერდნენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, მათ მოცულობას, ნაირსახეობებს, მოსახლეობის და მფლობელების მითითებით. ეს წიგნები დიდი მოცულობით გამოირჩეოდა, რაც მიწათმფლობელების მიერ მათ გამოყენებას ართულებდა, ამიტომ კეთდებოდა ამონაწერები აღწერის/აღრიცხვის დავთრებიდან, სადაც შეტანილი იყო ცალკეული ფეოდალის სამფლობელო. ამ ამონაწერს *მეასედის სიგელს* („სოტნაია გრამოტა“) უწოდებდნენ.

ქართული შესატყვისია „მეასედის სიგელი“: «сотня – ასი, ასეული; грамота – სიგელი» (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983: 126; 718). ტერმინი კალკირების ტექნიკითაა გადმოტანილი და სწორად ასახელებს დენოტატს. ქართულში ასევე გვხვდება ფორმა „სოტნაია“, რაც სიგელის შემოკლებული რუსული ვარიანტის «Сотная» ტრანსლიტერაციაა. ამ ფორმის გამოყენებისას ტექსტს განმარტება უნდა დაერთოს.

ბოლო ათწლეულებში აქტუალურობა შეიძინა ე.წ. **გამჭვირვალე და გაუმჭვირვალე თარგმანმა**, ანუ თარგმანში მთარგმნელის შემოქმედებითი ნიშნის ღიაობამ/დაფარულობამ. შინაარსობრივად დაიტვირთა ისეთი **პრაგმატული ასპექტები**, როგორებიცაა **ფორენიზაცია** (ინგლ. foreignization „გაუცხოება“) და **დომესტიკაცია** (ინგლ. domestication „გაშინაურება“). აღნიშნული ტერმინები სამეცნიერო დისკურსში გერმანელმა ფილოსოფოსმა და მოძღვარმა, ლიბერალური პროტესტანტული თეოლოგიის ფუძემდებელმა, ფრიდრიხ შლაიერმახერმა შემოიტანა.²⁷ დომესტიკაციისას ტექსტში მთარგმნელის პიროვნება და მისი ინტენციები (იდიოლექტი) იკვეთება („მთარგმნელი თავს ანებებს მკითხველს, ხოლო მწერალს მისკენ მოძრაობას აიძულებს“). ამ ტექნიკას ინტერპრეტატორები რომის იმპერიის დროიდან იყენებდნენ. იმ ეპოქაში ბერძნული ტექსტების ლათინურ ენაზე გადატანისას ბერძნულ კულტურულ მარკერებს იღებდნენ, სამაგიეროდ ამატებდნენ ალუზიებს რომაული კულტურიდან, ცვლიდნენ ბერძენი პოეტების სახელებს რომაულით. მოგვიანებით, რომანტიზმის ეპოქაში, მთარგმნელები პირიქით, ნათარგმნ ტექსტებში კულტურული განსხვავებულობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. თარგმანის აღიარებულ სტრატეგიად ფორენიზაცია იქცა.²⁸ მთარგმნელი საკუთარ კულტურულ ღირებულებებს გვერდს უვლის და მკითხველს ამოსავალი ენის კულტურულ ღირებულებებს სთავაზობს („მთარგმნელი თავს ანებებს მწერალს, ხოლო მკითხველს მისკენ მოძრაობას აიძულებს“). შლაიერმახერი დომესტიკაციისა და ფორენიზაციის პრინციპების აღრევის კატეგორიული წინააღმდეგია: „ეს გზები სრულიად განსხვავებულია, უნდა მიჰყვეთ მხოლოდ ერთ მათგანს, ყოველმხრივ თავიდან აიცილოთ მათი შერევა, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი შეიძლება დამღუპველი იყოს: მწერალი და მკითხველი შეიძლება საერთოდ არ შეხვდნენ ერთმანეთს“ (Schleiermacher, 2016: 25).

შლაიერმახერის დიქოტომია იტალიური წარმოშობის ამერიკელმა მთარგმნელმა, თარგმანის ისტორიკოსმა და თეორეტიკოსმა, ლოურენს ვენუტიმ, განავითარა, რომელიც თარგმანს ენის, დისკურსის და სუბიექტურობის პოსტსტრუქტურალისტური კონცეფციების ჭრილში აფასებს. ვენუტი აღნიშნავს, რომ დასავლური მთარგმნელობითი ტრადიცია ზედაპირულია, ენობრივ და კულტურულ განსხვავებებს შლის, მათი გადმოცემის ნაცვლად, რაც მიუღებელია. მეცნიერის აზრით, დომესტიკაციის და ფორენიზაციის მთავარი ამოცანა კულტურების მაქსიმალური დაახლოებაა. დომესტიკაციის ძირითად ნიშნებად აღქმის სიმარტივეს და გამჭვირვალეობას ასახელებს, რაც ორიგინალის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფორენიზაციისას კი თავს იჩენს ტექსტის გაუმჭვირვალეობა, ბუნდოვანება, „ბნელი ადგილები“, ის იკითხება სწორედ როგორც თარგმანი, ანუ უცხო ფენომენი.

სიგელში მითითებული იყო აღრიცხვის წიგნი, საიდანაც შესრულდა ამონაწერი, წიგნის შემდგენელთა გვარები, ინფორმაცია მიწების, სავარგულების, დასახლებული ადგილების, მათი მოსახლეობის და მფლობელების შესახებ. ბოლოს ფიქსირდებოდა სიგელის შემდგენელისა და ხელმომწერის ვინაობა (კანდელაკი, გარიშვილი, ამირეჯიბი, 2023: 185).

²⁷ დომესტიკაცია – ორიგინალური ტექსტის ეთნოცენტრული რედუცირება თარგმანის ენის კულტურული ღირებულებების შესაბამისად, ანუ „უცხო და გაუგებარი ტექსტის რეპროზენტაციის ხერხი მიმდები კულტურის გასაგები ტერმინებით (Schleiermacher, 2016: 15).

²⁸ ფორენიზაცია – ეთნო-დევიაციური წინააღმდეგობა სამიზნე ენის კულტურის ღირებულებებისადმი, ორიგინალური ტექსტის ენობრივი და კულტურული განსხვავებების დაფიქსირებით (Schleiermacher, 2016: 15).

ვფიქრობ, თარგმანში შეუძლებელია და დაუშვებელიც დომესტიკაცია ან ფორენიზაცია წმინდა სახით იყოს წარმოდგენილი. თითოეული ნათარგმნი ტექსტი ამ სტრატეგიების ნაზავია, ისინი უფრო ავსებენ ერთმანეთს, ვიდრე კონფლიქტში შედიან. თარგმანი არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი პროცესია. ყველაზე ზუსტ თარგმანშიც კი ყოველთვის არის სუბიექტურობის მარცვალი, რაც მთარგმნელის პროფესიონალიზმით და დედნის ტექსტის მახასიათებლების დაცვით წონასწორდება. მთარგმნელი დომესტიკაციას ვერ აიცილებს, რადგან ტექსტი უცხო კულტურაში მოხვედრისას ამ კულტურის მოვლენა ხდება, ამ კულტურის ენაზე იწყებს საუბარს. გარკვეული დოზით აუცილებელია ფორენიზაცია, უცხო რეალების/კულტურემების შენარჩუნება. ოქროს შუალედის მოძებნა მთარგმნელის ამოცანაა, უცხო ტექსტი ბუნებრივად უნდა შევიდეს მიმღებ ენაში დედნის მახასიათებლების, „კოლორიტის“ შენარჩუნებით. არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელმა *სამიზნე ენის საზღვრების გაფართოვებას*²⁹ უნდა მიმართოს და ენა-რეციპიენტის კონცეპტუალური სინონიმები აამოქმედოს.

ფორენიზაციაა რუსული ისტორიზმის Посольский Приказ³⁰ ქართული შესატყვისი „პოსოლსკი პრიკაზი“ (ტრანსკრიფციულ-ტრანსლიტერაციული გადატანა). სახელწოდების ბუკვალური ქართული თარგმანია „საელჩოს უწყება/საგანგო“ (посол „ელჩი“; приказ „უწყება“). ეს უკვე დომესტიკაციაა, ანუ გაქართულება. რუსულ-ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: «Посольский Приказ – ძვ. რუს. საგარეო საქმეთა უწყება» (რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1983: 546; 570). ეს კონცეპტუალური ინფორმაცია, აღწერითი თარგმანი მნიშვნელობის დიფერენცირებით, ანუ საშუალო ფორენიზაციასა და დომესტიკაციას შორის. ვინაიდან „პოსოლსკი პრიკაზი“ რუსული ისტორიული რეალიაა, ვფიქრობ, მისი ფორენიზაცია თანდართული განმარტებით ყველაზე მისაღები სტრატეგიაა.

არსებობს ისტორიული ტექსტის თარგმნის *ისტორიზაციის* (ორიგინალთან მიახლოება) და *მოდერნიზაციის* (გათანამედროვეება) სტრატეგიები. ისტორიზაციას ბევრი მკვლევარი და მთარგმნელი მიმართავს, თუმცა ამ ტიპის თარგმანი საკმაოდ რთული აღსაქმელია და უფრო სპეციალისტების ვიწრო წრისთვისაა განკუთვნილი. დედნის დაწერის დრო თუ მნიშვნელოვნად დაშორებულია თარგმანის შესრულების დროსთან, მაშინ ადგილი აქვს ე.წ. *გარდაუვალ თარგმანს*, იმავე *ისტორიულ სტილიზაციას*. მთარგმნელი მიზანმიმართულად ცვლის ტექსტის სტილსა და გრამატიკულ წყობას. არსებობს ორი შემთხვევა, როდესაც მთარგმნელი ამ ხერხებს მიმართავს: 1) დოკუმენტი დაწერილია ენაზე, რომელიც პასუხობს თავისი შექმნის დროს, შესაბამისად, ის სტილისტურად და გრამატიკულად მოძველებულია; 2) ტექსტის ავტორი განზრახ იყენებს არქაიზმებს ასახული ეპოქის რეალობის/რეალების გადმოსაცემად. მთარგმნელი არჩევანის წინაშე დგას: მას შეუძლია მიმართოს ისტორიულ სტილიზაციას, შეინარჩუნოს ორიგინალის ლინგვოკულტურემა და მიმღებ ენაში შესაბამისი არქაიზმები მოძებნოს, ან მიმართოს მოდერნიზაციას. ამ შემთხვევაში ნარატივი ენობრივად, კონცეპტუალურად გათანამედროვეებული და დედანს დაშორებულია. მოდერნიზებული თარგმანები ფართო აუდიტორიისთვის მოსახერხებელია, თუმცა სპეციალისტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ე.წ. *დროის გადატანას*, რაც თარგმანის წყაროს და თავად თარგმანს დროსა და სივრცეში ყოფს. მოდერნიზაციასა და ისტორიზაციას შორის ლავირება უნდა მოხდეს. მთარგმნელმა

²⁹ საზღვრების გაფართოვების ტექნიკას იმ შემთხვევებში მიმართავენ, როდესაც საწყისი ენის ერთეულს მნიშვნელობების უფრო მცირე მოცულობა აქვს, ვიდრე მოცემულ კონტექსტში შესაბამისი სამიზნე ენის ერთეულს.

³⁰ პოსოლსკი პრიკაზი – ცენტრალური სამთავრობო დაწესებულება რუსეთში 1549-1720 წწ., რომელსაც უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა, ტყვეთა გაცვლის და გამოსყიდვის საქმეები ევალებოდა.

თავი უნდა აარიდოს დედნის სტრუქტურულ-კონცეპტუალურ ცვლილებას, ისეთი კონცეპტების და კომბინაციების გამოყენებას, რომლებიც ენის განვითარების თანამედროვე ეტაპის კვალს ატარებენ და საზოგადოების ცხოვრების თანამედროვე წესთან ასოცირდებიან, რაც შეუთავსებელია ორიგინალის ეპოქასთან. ისტორიულ თარგმანში მუდმივი/უცვლელი კატეგორიები უნდა დარჩეს.

ტექსტის ნაწილობრივი სტილიზაციის მაგალითია რუსული მართლმადიდებლური სასულიერო ძეგლის «Алфавитный патерик, или достопамятные сказания о подвижничестве святых и блаженных отцов»³¹ სათაურის ქართული თარგმანი: „ანბანური პატერიკონი, ანუ სამახსოვრო თქმულებები წმინდა და ნეტარ მამათა ღვაწლის შესახებ“. თარგმანში დაცულია რუსული ლექსიკური, სტილისტიკური და სემანტიკური არქაიზმები, ინტერპრეტაცია ადეკვატურია; შეცვლილია და ქართულ ენას მორგებულია მორფოლოგია და სინტაქსი. თარგმანი სტილისტურად და ფუნქციურად დედნის ეკვივალენტურია.

მოდერნიზაციის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის ბიბლიის ასოციაციის მიერ XX საუკუნის 80-იან წლებში შესრულებული ბიბლიის ინგლისურენოვანი თარგმანი. ტექსტი კონცეპტუალურად და სტილისტურად შეცვლილია. ერთი მაგალითი: ძველ ინგლისურ თარგმანში მორწმუნეები შეხვედრისას ურთიერთს წმინდა ამბორით ესალმებიან: Greeted one another with a holy kiss; მოდერნიზებულ თარგმანში ერთმანეთს გულითადად ხელს ართმევენ: Gave one another a hearty handshake all around. ახალი აღთქმის კანონიკურ ტექსტში ვკითხულობთ: „მოიკითხეთ ერთმანეთი წმინდა ამბორით“ (მე-2 კორინ. 13:12). ინგლისური მოდერნიზებული თარგმანი თეოლოგიის დოქტორის, ამერიკის ბიბლიის ასოციაციის (American Bible Association) მდივნის, თარგმანის თეორეტიკოსის, იუჯინ ნაიდას **დინამიკური ეკვივალენტობის**, იმავე **ფუნქციური ეკვივალენტობის** შედეგია, რომელიც თარგმნილი ტექსტის კონკრეტული ხალხის კულტურაზე და კონკრეტულ ეპოქაზე მორგებას ქადაგებს. აღნიშნული თეორია ბიბლიის აფრიკის ეგზოტიკურ ენებზე თარგმნას დაედო საფუძვლად. ნაიდა ხაზს უსვამს, რომ თარგმანში არ არსებობს *იდენტური ეკვივალენტები* და მთარგმნელმა *უახლოესი ბუნებრივი ჟღერადობის ეკვივალენტი* უნდა მოძებნოს, ანუ *ტექსტის დეკონსტრუქცია* უნდა მოახდინოს. ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდის თარგმანის **სოციალური ფუნქციის ეკვივალენტობა**. დისკურსში **სკოპოსის თეორია** (გერმ. Skopostheorie) შემოდის, რომელიც გერმანელმა ენათმეცნიერებმა და თარგმანმცოდნეებმა ჰანს ჯოზეფ ვერმეერმა და კატარინა რეისმა შეიმუშავეს. ამ თეორიის მიხედვით, ტექსტის თარგმნისას მთავარია ფუნქცია, რომელსაც ის შეასრულებს. თარგმანი უნდა მოერგოს სამიზნე აუდიტორიას; საწყისი ტექსტის დანიშნულება ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მოყვანილ მოდერნიზებულ თარგმანთან კავშირში აღვნიშნავ: ბიბლიური ლექსიკის თარგმნა სპეციფიკურია, ხასიათდება თეოლოგიური ტერმინოლოგიის, ენობრივი ფიგურების, სიმბოლოების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც კონფესიების და სექტების სიმრავლეშიც ჩანს, მისი ტექსტის ნებისმიერი სახით შეცვლა დაუშვებელია. ბიბლია კანონიკური ტექსტია. მთარგმნელები ჯერ კიდევ რომაული პერიოდიდან, როდესაც თავისუფალი ინტერპრეტაცია იყო მიღებული, ბიბლიას სიტყვასიტყვით თარგმნიდნენ, რადგან მცირე ელემენტის შეცვლასაც კი შეიძლებოდა წიგნის შინაარსი, სტრუქტურა და, რაც მთავარია, სულიერი დანიშნულება დაერღვია. მოყვანილ მოდერნიზებულ

³¹ ანბანური პატერიკონი – საეკლესიო წიგნი, რომელშიც წმინდანთა „ცხოვრებანი“ («Жития») და სხვა სასულიერო ნაწარმოებები, დასახელებების ან პერსონაჟების სახელების გათვალისწინებით, ანბანის მიხედვითაა განლაგებული.

თარგმანში ფაქტობრივი ინფორმაცია უხეშად დამახინჯებულია, ის ღვთის სიტყვას და მოქმედებას ცვლის.

ფრაზელოგიზმებს, ანდაზებს, სხარტულებს, ოკაზიონალიზმებს, რომლებიც არც თუ იშვიათად გვხვდება ისტორიულ ტექსტებში, ფუნქციური/პრაგმატული შესაბამისობები უნდა დაეძებნოს, რომლებიც ბევრ ენაში პარალელურად ფუნქციონირებს. მაგ., ანდაზის: „ცდა ბედის მონახევრეა“/«Попытка не пытка (не шутка), {а шанс не беда}»/“Worth a shot” (ამბობენ, როდესაც არ არიან დარწმუნებული, რომ რაიმეს გაკეთება წარმატებას მოიტანს, მაგრამ ცდა მაინც ღირს (რადგან არავინ არაფრით რისკავს) – ქართული, რუსული და ინგლისური ვერსიები, მიუხედავად ლექსიკური განსხვავებისა, ფუნქციურად რელევანტურია, რაც ამ შემთხვევაში მთავარია.

მნიშვნელოვანია ავტორისეული ნეოლოგიზმების, ე.წ. *ოკაზიონალური ლექსიკის*³² თარგმნა. ოკაზიონალიზმების სემანტიკური და ფუნქციური მნიშვნელობის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მათ არ აქვთ პირდაპირი ეკვივალენტები სხვა ენებში, მათი თარგმნა რთულია. ასეთი ენობრივი წარმონაქმნის სამიზნე ენაში გადატანა დამოუკიდებელი და ორიგინალური მთარგმნელობითი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს. ზოგადად, ასეთი სიტყვების/ფრაზების მეორე ენაზე გადატანის რამდენიმე ხერხი არსებობს: 1) ენაში უკვე არსებული სიტყვისთვის სხვა, ახალი მნიშვნელობის მინიჭება; 2) უკვე არსებულ სიტყვასთან ანალოგიით ახალი ფორმის წარმოქმნა; 3) სიტყვების შეერთება, ან ნაწილებად (სემებად) დაშლა; 4) კონვერსია (სიტყვის გადასვლა მეტყველების ერთი ნაწილიდან მეორეში); 5) მაწარმოებელი სუფიქსების და პრეფიქსების გამოყენება.

შედარებით ახალი, თუმცა ისტორიული განვითარების შედეგად წარმოქმნილია ისეთი ოკაზიონალიზმები, როგორებიცაა: „ულექტორესი“ (ძალიან კარგი ლექტორი. ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის პრეფიქს-სუფიქსით წარმოებული – ულექტორ-ეს-ი); textpectation – the anticipation felt when waiting for a response to a text (text+expectation. ტექსტი+მოლოდინი (შეტყობინების მომლოდინე) და ა.შ.

ენის გამომსახველობითი ფორმები, ლიტერატურული საშუალებები, როგორებიცაა სიტყვათა თამაში/კალამბური, მეტაფორა, ალუზია, რემინისცენცია, ჰიპერბოლა, მეტონიმია – ყველა ტიპის ლიტერატურულ ნაწარმოებში გვხვდება, გამონაკლისი არც ისტორიული ტექსტებია. ფიგურალური ენის გამოყენება ერთგვარი „ინდიკატორი“, ავტორის ინდივიდუალური სტილის მარკერია. ასეთ შემთხვევებში ლიტერატურასა და ლინგვისტიკაში გათვინციობიერებულ მთარგმნელს შეუძლია, თარგმანის ძირითად წესებზე დაყრდნობით, აირჩიოს თარგმნის შესაფერისი სტრატეგია.

იუმორისტულ დისკურსს ზოგადად და *სიტყვათა თამაშს* კერძოდ სხვადასხვა ლინგვოკულტურაში საკუთარი მახასიათებლები აქვს. ასეთი მასალის სხვა ენაზე გადატანა პრობლემატურია, რადგან ის ორიგინალის ლექსიკურ-კონოტაციურ შესაძლებლობებს იყენებს. ამ შემთხვევაში თარგმანის პრაგმატული ასპექტებია: სიტყვის ან მეტაფორის გადატანა იმავე ენობრივ დონეზე; ამოსავალ ტექსტში არსებული ეფექტის კომპენსაცია (იმავე სტილისტური ელფერის მქონე სხვა სიტყვით/მეტაფორით ან სხვა სტილისტური საშუალებებით გადატანა); კომენტარი ან შენიშვნა; კომიკური ეფექტის დაკარგვა; ამგვარი ჩანართების გამოტოვება. ბოლო სტრატეგია თანამედროვე

³² ცნობილია, რომ ავტორისეული ოკაზიონალიზმები (ლათ. occasionalis „შემთხვევითი“ ← occasio) უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოებებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ავტორი მათი დახმარებით ქმნის ერთგვარ წარმოსახვით სამყაროს, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ რეალობას, ცდილობს გარკვეული ემოციური შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე. ძველი ისტორიული ტექსტებიც მრავლად შეიცავს მსგავსს ლექსიკას.

ტრანსლატოლოგიაში მიუღებელია. ისტორიული კალამბურია ფრანგული³³ “La religion va de Pie en Pie” (pis en pis) – „რელიგია გადადის პიუსიდან პიუსზე“, ანუ რელიგია უარესდება და უარესდება: ფრანგ. “pis” – უარესი.³⁴ ნაპოლეონ I-ის ცოლის შესახებ, რომელიც ქმარს ღალატობდა, ფრანგები ხუმრობდნენ: “C’est dommage qu’elle a un nez rond (un Néron)” – „სამწუხაროა, რომ მრგვალი ცხვირი აქვს“, ანუ სამწუხაროა, რომ ნერონი ჰყავს.

მეტაფორის თარგმნა მისი შეფასებითი, ნომინაციური და ესთეტიკური კომპონენტების შენარჩუნებას მოითხოვს. მეტაფორების თარგმნისას მიმართავენ იმავე სახეს, სხვა მსგავს სახეს, სიტყვასიტყვით თარგმანს და არამეტაფორულ ახსნას. გამოიყენება ეკვივალენტური შესატყვისები, ვარიანტული შესატყვისები, ტრანსფორმაცია და კალკირება. ისტორიული მეტაფორაა ტერმინი „რევოლუცია“,³⁵ რომელიც ფრანგულ ენაში XII საუკუნის ბოლოს გამოჩნდა „უკან სვლის“ მნიშვნელობით. საფრანგეთის რევოლუციის (1789-1799) შედეგად მომხდარმა გარდაქმნებმა (განსაკუთრებით, ნაპოლეონის რეფორმებმა) მთლიანად შეცვალეს ტერმინის კონოტაცია: ის მეტაფორულად გაფართოვა, განვითარების, პროგრესის აღმნიშვნელი გახდა. „რევოლუცია“ საერთაშორისო ტერმინია, ამიტომ ყველა ენაზე დადგენილი ფორმით გადადის.

ალუზიას, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, ფარული, ქვეტექსტური, საიდუმლო შინაარსიც აქვს, რომელიც იწვევს მოგონებებს, შეგრძნებებს, ასოციაციებს. ისტორიული ალუზია ტექსტში მულტიფუნქციურია: ქმნის საჭირო კონტექსტს, ელფერს. ნებისმიერი ისტორიული მოვლენა ნებისმიერი პერსპექტივიდან შეიძლება წარმოდგეს. გარდა ამისა, ადამიანების გონებაში უკვე ჩამოყალიბებულია სტერეოტიპები, გარკვეული დამოკიდებულებები სხვადასხვა ისტორიული მოვლენის/პერსონის მიმართ. ისტორიული ალუზიების მთარგმნელმა უნდა მიმართოს სხვადასხვა წყაროს, მათ შორის, ენციკლოპედიებს და ცნობარებს. ცნობილ მოვლენებსა და ფაქტებზე მინიშნებები თარგმნისას დამატებით კომენტირებას არ საჭიროებს. ნაკლებად ცნობილ მოვლენებს სჭირდება „გაშიფვრა“, ტექსტში უშუალოდ ნახსენები მოვლენების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება. ასევე აუცილებელია ორიგინალის ეფექტის, ანუ ასოციაციური სერიების გადატანა, რომლებიც მკითხველის გონებაში გარკვეული მოვლენების ხსენებისას წარმოიქმნება. ალუზიის თარგმნისას განსაკუთრებულ სირთულეს „ლოკალური“ პრეცედენტული ფენომენები წარმოქმნიან. ისტორიული ალუზიის ფუნქცია შეიძინეს რომის დიქტატორის იულიუს კეისრის აფორიზმებმა: “Veni, vidi, vici” („მივედი, ვნახე, დავიპყარი“); “Et tu, Brute!” („შენც, ბრუტუს!“); “Devide et imperia” („დაყავი და იბატონე“); “Libenter homines id, quod volunt, credunt” („ადამიანები მზად არიან დაიჯერონ ის, რისი დაჯერებაც სურთ“). ეს გამონათქვამები ლათინურიდან სხვა ენებზე თითქმის ყოველთვის კონცეპტით, ან სიგნიფიკატივითაა გადატანილი, ანუ აზრის და ემოციის შენარჩუნებით. ცალკე ფენომენია ბიბლიური ალუზიები, რომლებიც ძალიან

³³ ომონიმების (ბერძ. ὁμός „ერთნაირი“, „იგივე“ + ὄνομα „სახელი“) სიმრავლის წყალობით, ფრანგული ენა განსაკუთრებით მდიდარია კალამბურებით.

³⁴ გამონათქვამი საფრანგეთის რევოლუციის დროს წარმოიშვა, როდესაც პაპმა პიუს VII-მ პაპი პიუს VI-ე ჩაანაცვლა. 1775 წლიდან 1958 წლამდე პერიოდს რომის კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში *პიუსების ეპოქას* უწოდებენ. დროის ამ მონაკვეთში მოღვაწე თერთმეტი პაპიდან შვიდი ატარებდა სახელს *პიუსი*. პიუს VI-დან პიუს XII-მდე.

³⁵ სიტყვა „რევოლუცია“ (ლათ. revolutio „ტრიალი“ „გადატრიალება“, „ტრანსფორმაცია“, „გარდაქმნა“) –სამეცნიერო ენაში შევიდა ნიკოლაი კოპერნიკის წიგნიდან “De revolutionibus orbium coelestium” („ციური სფეროების ბრუნვის შესახებ“, 1543). თავდაპირველად ტერმინი ასტროლოგიასა და ალქიმიაში გამოიყენებოდა.

ხშირია მხატვრულ ლიტერატურაში და, ასევე, ისტორიულ თხზულებებშიც გვხვდება. ამის მაგალითია ქრისტიანი დიდი მეფეების ისრაელის ბიბლიურ მეფეებთან შედარება.

რემინისცენციის თარგმნისას აუცილებელია მიძღვნილი ენის მატარებლების ტიპური მენტალობის ცოდნა. რემინისცენციაში შეიძლება იყოს ორიგინალის ენობრივი ცნებები, რომლებიც გასაგები უნდა გახდეს თარგმანის მკითხველისთვის. ყველაზე ადრეული რემინისცენციები უძველესი კლდის მხატვრობის³⁶ სილუეტები, პროპორციები და სიუჟეტებია, რომლებიც სკვითების „ცხოველურ სტილში“³⁷ მეორდება, რაც ასევე ტექსტის ერთგვარი ტრანსლირებაა. რემინისცენციები მრავლადაა სახარებებში. იესო ქრისტე მსმენელებს თავისი სწავლების მნიშვნელობას მათი ყოველდღიური, ცხოვრებისეული გამოცდილების მაგალითებით უხსნის, ხშირად იყენებს სასოფლო-სამეურნეო, მშენებლობის, ოჯახური ურთიერთობების, ვაჭრობის და ა.შ. მეტაფორებს, როგორც ყველაზე გასაგებს პალესტინის მკვიდრთათვის (მაგ., იგავნი მთესველზე, ბორბოტ მევენახეებზე, კეთილ მწყემსზე).³⁸ მოტანილ რემინისცენციებს ყველა ენაზე საკუთარი კანონიკური შესატყვისები აქვთ, ამიტომ ახალი თარგმანების გაკეთება დაუშვებელია.

ჰიპერბოლა, როგორც გამოკვეთილი და მიზანმიმართული გაზვიადების სტილისტური ხერხი ექსპრესიულობის გასაძლიერებლად და აზრის ხაზგასასმელად, სხვა ენაზე იგივე ფუნქციის სიტყვით/შესიტყვებით უნდა გადავიდეს. ისტორიულ ტექსტებში ყველაზე ხშირად ჰიპერბოლა გამოჩენილი ისტორიული მოღვაწეების და გმირების ეპიკური წარმოდგენისას გვხვდება. აი, როგორ აღწერს ისტორიკოსი ქართლის მეფის ვახტანგ გორგასალის ბრძოლას ინდოელებთან: პირისპირ ბრძოლაში ვახტანგმა მოკლა თხუთმეტი ბუმბერაზი, „რომელთაც მოეკლათ მრავალნი ბუმბერაზნი სპარსთანი“. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი სიტყვას „ბუმბერაზი“ ასე ხსნის: „ბუმბერაზი – 1. გოლიათი, დევგმირი; 2. უზარმაზარი, ვეებერთელა“ (უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. URL: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=45048>). ქართულ-რუსულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ბუმბერაზი – великан, исполин, титан, гигант; перен.

³⁶ კლდის მხატვრობა – პალეოლითის ეპოქის ადამიანების მიერ გამოქვაბულების კედლებზე დატანილი ნახატები. ამ ობიექტების უმეტესობა ნაპოვია ევროპაში. თუმცა აზიაშიც არის ასეთი გამოქვაბულები, მაგ., მალაიზიაში, კუნძულ კალიმანტანზე. კლდის მხატვრობა ღირებული ინფორმაციის წყაროა მრავალი სამეცნიერო დისციპლინისთვის, ანთროპოლოგიით დაწყებული, ზოოლოგიით დამთავრებული. ის არა მხოლოდ ძველი ადამიანის არსებობაზე მოწმობს, არამედ იმაზეც, რომ უძველეს საზოგადოებებს კულტურა ჰქონდათ [იხ.: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90]

³⁷ ცხოველური სტილი – ისტორიული მხატვრული სტილი (ძვ.წ. VII-IV სს.). განვითარდა ევრაზიის ტერიტორიებზე: ქვემო დუნაიდან, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთიდან და კასპიის სტეპებიდან სამხრეთ ურალამდე, ციმბირამდე და ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთამდე. „ცხოველური სტილი“ მრავალფეროვანია დროსა და სივრცეში უჩვეულოდ ფართო გავრცელების და სხვადასხვა ეთნიკური კულტურის ტრადიციების სინთეზის გამო. ამ მხრივ სკვითების, მეოტიელებისა და სარმატების ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშები ე.წ. სკვითური „ცხოველური სტილით“ დამზადებული საგნებია. ცხოველების გამოსახულებები ემორჩილება ამა თუ იმ ნივთის, ან ჭურჭლის ფორმას, ცალკეული დეტალები მიზანმიმართულად გამოკვეთილია. URL: <https://www.booksite.ru/fulltext/1/001/008/045/006.htm>.

³⁸ დასახელებული იგავნი მოცემულია სინოპტიკურ (ბერძ. συνοπτικός „თანადაშვირვებელი“: σύν „ერთად“ + ὄψις „ხედვა“, „ვიზუალური აღქმა“) – „ხედვის ერთი მიმართულების მქონე“ სახარებებში – მათე (13: 3-23; 21: 33-41), მარკოზი (4: 3-8/14-20; 12: 1-9), ლუკა (8: 5-8/11-15; 20:9-16). იოანეს სახარებაში, რომელიც ქრისტოლოგიის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს, მოყვანილია მხოლოდ იგავი კეთილ მწყემსზე და მოქირავეზე (10: 1-16).

исполинский, титанический (ქართულ-რუსული ლექსიკონი, URL: http://www.ice.ge/liv/liv/kartul_rus.php). შესაბამისად, რუსულ ენაზე ეს ისტორიული პასაჟი მე ასე გადამაქვს: «В рукопашной схватке Вахтанг сразил пятнадцать исполинов, которые убили множество персидских великанов». ამ შემთხვევაში ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად და ემოციის გასამძაფრებლად სინონიმურ თარგმანს მივმართავ: ლექსემები „ბუმბერაზი“ და „მოკლა/მოეკლათ“ ორი თანაბარფუნქციური სინონიმით გადამაქვს – «исполин/великан»; «сразил/убили». თარგმანში შევეცადე შემენარჩუნებინა ჰიპერბოლა, საგმირო ეპოსისათვის დამახასიათებელი ამალებული სტილი; მივმართე სტრუქტურულ ტრანსფორმაციას.

მეტონიმია შეიცავს საგანს და სახეს/ხატს, მათი სინთეზის გარეშე. ამიტომ მეტონიმის თარგმნისას მკითხველისთვის გასაგები უნდა იყოს ირივე შემადგენელი. მეტონიმის თარგმნის სტრატეგია: 1) ენობრივი და კულტურული ცნებების დამთხვევის შემთხვევაში ერთეულის სრული პირდაპირი გადატანა, ანუ კალკირება; 2) სტრუქტურული ტრანსფორმაცია ენებს შორის გრამატიკული ნორმების შეუსაბამობის პირობებში; 3) სემანტიკური ტრანსფორმაცია სამიზნე ენაში ინდივიდუალური ნიშნის არარსებობის შემთხვევაში; 4) ფუნქციური ტრანსფორმაცია ენებს შორის სტილისტური შეუსაბამობისას; 5) სრული ტრანსფორმაცია, ანუ პირდაპირი კვლავადგენა. თითქმის ყველა ენაზე გასაგები მეტონიმის მაგალითია The White House issued a statement/თეთრმა სახლმა განცხადება გააკეთა/Белый Дом выступил с заявлением. ქართულში გამოყენებულია ზმნა „გაკეთა“/ «сделал»; რუსულში «выступил»/„გამოვიდა“. სემანტიკურად განსხვავებული ეს ორი ზმნა ამ შემთხვევაში ფუნქციურად თანაბარია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისტორიული ტექსტის თარგმნისას რეალური შედეგის მისაღწევად:

- უნდა შენარჩუნდეს დედნის ინფორმატიულობა, ანუ მისი მნიშვნელობა/შინაარსი, კულტურულ-ისტორიული კონტექსტი;
- უნდა რეპროდუცირდეს მოცემული ეპოქის ისტორიული ატმოსფერო;
- ფაქტები საიმედოდ უნდა გადმოიცეს;
- დაცული უნდა იყოს მიმღები ენის სტრუქტურა: გრამატიკა, ლექსიკა და სტილისტიკა;
- უნდა მოხდეს ტექსტის კომპოზიციის, იდიომების, ოკაზიონალიზმების, ენობრივი ფიგურების, სიმბოლოების, შემოკლებების, აბრევიატურების ადეკვატური ტრანსლირება.
- ზუსტად უნდა გადმოიცეს დენოტატიური, კონცეპტუალური, სიგნიფიკატიური და ნომინაციური მნიშვნელობები;
- არ უნდა იყოს ლაკუნები (გამოტოვებული ადგილები, სემანტიკური სიცარიელები);
- უთარგმნელი მასალა ფორმაუცვლელად უნდა გადავიდეს და განიმარტოს;
- კანონიკური ტექსტები არ უნდა ითარგმნოს და კონკრეტულ ენაზე დადგენილი ფორმით უნდა გადავიდეს;
- უნდა მოიძებნოს პრეზენტაციის გასაგები ფორმა.

დასკვნები. სამეცნიერო თარგმანის ფუნქციების გაფართოება, რომელსაც ადგილი აქვს ჰუმანიტარული ცოდნის სფეროში, მთარგმნელისგან მოითხოვს სხვადასხვა სტრატეგიის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გაერთიანებას, ასევე, ახალი მიდგომების შემუშავებას კონკრეტული პრობლემების დასაძლევად.

ისტორიული ტექსტის თარგმნის მთავარი მიზანი სხვა/უცხო ხალხის ყოფაცხოვრების, ფუნქციის, კულტურის გააზრება და შესწავლაა დროსა და სივრცეში და სწორად გადატანა სხვა ენაზე. ეს მიზანი არ უნდა შეეწიროს სიმარტივეს და სტილის

სიცხადეს; არც ზედმეტი სირთულეა საჭირო იქ, სადაც ყველაფერი მარტივადაა გადმოცემული. ისტორიული ტექსტის მთარგმნელი არ უნდა შეეცადოს ანალოგის დაძებნას მიმღებ ენაში, თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. უნდა მოხდეს თარგმანის კომუნიკაციური ამოცანის განსაზღვრა. თარგმანში დაცული უნდა იყოს ორიგინალის სტილი, ლექსიკა და წყობა. პირველწყაროს შესაბამისად უნდა მიეთითოს სახელი, სათაური, სახელწოდება ან ფრაზა, სიტყვა, ხოლო ყველა უჩვეულო/გაუგებარი, ოკაზიონალური რემა, სემა, სიტყვა, შესიტყვება ან ფრაზა უნდა შენარჩუნდეს და აიხსნას. საჭიროების შემთხვევაში მთარგმნელმა პრეცედენტული სახელები უნდა გამოიყენოს. კანონიკური ტექსტები არ ითარგმნება, გამოიყენება დადგენილი ტექსტები. თარგმნა უნდა განხორციელდეს თანამედროვე მეცნიერების პრაგმატული ასპექტების და სტრატეგიების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

ბიბლია. (2013). თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“.

ერეკლე II-ის ურთიერთობა ოსმალეთთან XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში („გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობების საწინააღმდეგო საგარეო პოლიტიკა); თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ოსმალურ სახელწმიფო არქივში დაცული ქართულ-ოსმალური ურთიერთობების ამსახველი ისტორიული დოკუმენტების პუბლიკაცია. NFR-23-11173. 15.840. Сентября 30. Высочайше утвержденный дополнительный Артикул к договору с царем Ираклием II. – *О венчании и помазании на Царство царей Карталинских и Кахетинских*. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტი.

თელია, ლ. (1988). *ჯვარი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ილფი, ი., & პეტროვი, ე. (2019). *თორმეტი სკამი*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“.

კანდელაკი, დ., გარიშვილი, მ., & ამირეჯიბი, ნ. (2023). *რუსული წყაროთმცოდნეობა*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ლობჯანიძე, გ. (2005). *იესო და მარიამი ყურანში*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თსუ. თბილისი.

მერაბიშვილი, ი. (2005). *თარგმანი – კულტურათა დიალოგი*. თბილისი: შპს „პოლიგრაფი“.

როცა ტფილისი გახდა თბილისი. (2005). მოძიებულია ვებგვერდიდან:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/1539743.html>

რუსულ-ქართული ლექსიკონი. (1983). თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. მოძიებულია

ვებგვერდიდან: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=45048>

ქართულ-რუსული ლექსიკონი. (თ.გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან:

http://www.ice.ge/liv/liv/kartul_rus.php

წიბახაშვილი, გ. (2000). *თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Venuti, L. M. (1995). *The Translator's Invisibility: A History of Translation*. London: Routledge.

Nida, E. A. (1964). *Toward a Science of Translating*. Leiden: E.J. Brill.

Schleiermacher, F. (2016). *On the Different Methods of Translating*. (02/02/2023). Retrieved from

- [https://web.archive.org/web/20161021013340/http://core.roehampton.ac.uk/repository2/content/subs/t.durt/t.durt1729/Schleiermacher%20\(2012\)%20On%20the%20different%20methods%20of%20translating.pdf](https://web.archive.org/web/20161021013340/http://core.roehampton.ac.uk/repository2/content/subs/t.durt/t.durt1729/Schleiermacher%20(2012)%20On%20the%20different%20methods%20of%20translating.pdf)
- Алексеева, И. С. (2000). *Профессиональное обучение переводчика*. Санкт-Петербург: Издательство СПб Университета.
- Амирэджиби, Н. (2021). Сакральный архетип женщины в художественном нарративе Востока и Запада: рецепции канонического образа Богородицы. *სამეცნიერო შრომები XVIII*, გვ. 78-110. ოსტუ გამომცემლობა.
- Гигаку – буддийский театр масок. (б.д.). Получено с сайта: <https://var-veka.ru/blog/gigaku.html>
- Ильф, И., & Петров, Е. (2022). *Двенадцать стульев. Золотой теленок*. Москва: Издательство «Алгоритм».
- Комлева, Ю. Е. (2008). *Проблемы и методы исторического перевода*. Екатеринбург: Издательство Уральского университета.
- Крапивкина, О. А., Синёв А. Э. (б.д.). *О культурных ценностях в переводе: доместикация vs. форенизация*. Получено из <https://s.sjes.esrae.ru/pdf/2014/3/6.pdf>.
- Крупник, Л. В. (б.д.). *Особенности перевода реалий*. Получено из <http://istorya.ru/forum/>
- Модебадзе, И. (2014). Грузино-русский научный перевод в сфере гуманитарного знания: проблемы и переводческие стратегии. *ბჯაბი*. №14, გვ. 192-205.
- Мурадалиева, З. Н., & Торосян, М. В. (2010). *Особенности перевода исторических текстов*. Москва: Издательство «Наука».
- Нодиа, Т., & Амирэджиби, Н. (2020). Особенности именования духовных и светских лиц в Грузии и России: передача антропонимов в методике РКИ. *Материалы Международной Научной Конференции «От истоков к русистике XXI века»*. (06.02.2023). Тирасполь: Издательство Приднестровского университета, стр. 13-21. Получено из https://www.academia.edu/42886893/%D0%9E%D1%82_%D0%B8%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%B2_%D0%BA_%D1%80%D1%83%D1%81%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B5_XXI_%D0%B2%D0%B5%D0%BA%D0%B0.
- Попович, А. (1980). *Проблемы художественного перевода*. Москва: Издательство «Высшая школа».
- Проконицев, Г. И. (2010). Концептуальная информация и интерпретация поэтического текста. *Вестник Московского университета*. Серия 22, №4. Теория перевода, стр. 29-37.
- Сорокин, Ю. А. (1985). *Психолингвистические аспекты изучения текста*. Москва: Издательство «Наука».
- Церковь Успения Богородицы. Гробница Марии*. (б.д.). Получено из <http://www.e-reading.club/chapter.php/1011627/6/sergey-balandin-pyatoe-evangelie-chast-6-ekzegetika-serdca.html>
- Федоров, А. В. (2002). *Основы общей теории перевода*. Москва: Издательство «Филология три».

REFERENCES

- biblia [Bible]*. (2013). Tbilisi: Publishing House „Palitra L“.
- erek'le II-is urtiertoba osmalettan XVIII sauk'unis 80-90-ian ts'lebshi* („georgievsk'is t'rakt'at'is“ *p'irobebis sats'inaaghmdago sagareo p'olit'ik'a*); *turketis resp'ublik'is p'rezident'is osmalur sakhelts'mipo arkivshi datsuli kartul-osmaluri urtiertobebis amsakhveli ist'oriuli dok'ument'ebis p'ublik'atsia [Erekle II's relations with Ottomans in the 80s-90s of the 18th century (foreign policy contrary to the terms of the “Georgievsky Treaty”); Publication of historical documents depicting Georgian-Ottoman relations preserved in the President's Ottoman State Archives of the Republic of Turkey]*. NFR-23-11173. 15.840. Sentjabrja 30. Vysochajshe utverzhdenyj dopolnitel'nyj Artikul' k dogovoru s carem Irakliem II. – *O*

- venchanii i pomazanii na Carstvo carej Kartalinskih i Kahetinskih* [September 30. The Highest approved additional Article to the agreement with King Irakli II. – *About the wedding and anointing of the kings of Kartalin and Kakheti to the Kingdom*]. Project of the LEPL Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.
- ilpi, i., & p'et'rovi, e. (2019). *tormet'i sk'ami* [Twelve chairs]. Tbilisi: Publishing House „Sakartvelos matsne“.
- telia, l. (1988). *jvari* [The cross]. Tbilisi: Publishing House „Sabchota sakartvelo“.
- k'andelak'i, d., garishvili, m., & amirejibi, n. (2023). *rusuli ts'qarotmtsodneoba* [Russian source studies]. Tbilisi: TSU Publishing House.
- lobzhanidze, g. (2005). *ieso da mariami quranshi* [Jesus and Mary in the Qur'an]. Abstract of the Dissertation submitted for obtaining the scientific degree of Candidate of Philological Sciences. TSU. Tbilisi.
- merabishvili, i. (2005). *targmani – k'ult'urata dialogi* [Translation – Dialogue of Cultures]. Tbilisi: Ltd „Poligrapi“.
- rotsa t'pilis gakhda tbilisi* [When Tbilisi (Tiflis) became Tbilisi]. (2005). Retrieved from <https://www.radiotavisupleba.ge/a/1539743.html>
- rusul-kartuli leksik'oni* [Russian-Georgian Dictionary]. (1983). Tbilisi: Publishing House „Sabchota sakartvelo“.
- universaluri entsik'lop'ediuri leksik'oni* [Universal Encyclopedic Dictionary]. Retrieved from <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=45048>
- kartul-rusuli leksik'oni* [Georgian-Russian Dictionary]. (n.d.). Retrieved from http://www.ice.ge/liv/liv/kartul_rus.php.
- ts'ibakhashvili, g. (2000). *targmanis teoriisa da p'rakt'ik'is sak'itkhebi* [Issues of Theory and Practice of Translation]. Tbilisi: TSU Publishing House.
- Venuti, L. M. (1995). *The Translator's Invisibility: A History of Translation*. London: Routledge.
- Nida, E. A. (1964). *Toward a Science of Translating*. Leiden: E.J. Brill.
- Schleiermacher, F. (2016). *On the Different Methods of Translating*. (02/02/2023). Retrieved from [https://web.archive.org/web/20161021013340/http://core.roehampton.ac.uk/repository2/content/subs/t.durt/t.durt1729/Schleiermacher%20\(2012\)%20On%20the%20different%20methods%20of%20translating.pdf](https://web.archive.org/web/20161021013340/http://core.roehampton.ac.uk/repository2/content/subs/t.durt/t.durt1729/Schleiermacher%20(2012)%20On%20the%20different%20methods%20of%20translating.pdf)
- Alekseeva, I. S. (2000). *Professional'noe obuchenie perevodchika* [Professional training of a translator]. Saint Petersburg: Saint Petersburg State University Publishing House.
- Amirjedzhibi, N. (2021). Sakral'nyj arhetip zhenshhiny v hudozhestvennom narrative Vostoka i Zapada: recepcii kanonicheskogo obraza Bogorodicy [The sacred archetype of a woman in artistic narrative East and West: reception of the canonical image of the Holly Virgin]. *sametsnihero shromebi* [Sametsnihero shromebi] XVIII, pp. 78-110. Tbilisi: TSU Publishing House.
- Gigaku – buddijskij teatr masok* [Gigaku – Buddhist mask theater]. (n.d.). Retrieved from <https://varveka.ru/blog/gigaku.html>
- Il'f, I., & Petrov, E. (2022). *Dvenadcat' stul'ev. Zolotoj telenok* [The Twelve Chairs. Golden Calf]. Moscow: Publishing House «Algoritm».
- Komleva, Ju. E. (2008). *Problemy i metody istoricheskogo perevoda* [Problems and methods of historical translation]. Yekaterinburg: Ural University Publishing House.
- Krapivkina, O. A., & Sinjov, A. Je. (n.d.). *O kul'turnyh cennostjakh v perevode: domestikacija vs. forenizacija* [About cultural values in translation: domestication vs. foreignization]. Retrieved from <https://s.sjes.esrae.ru/pdf/2014/3/6.pdf>.
- Krupnik, L. V. (n.d.). *Osobennosti perevoda realij* [Features of translation of Realities]. Retrieved from <http://istorya.ru/forum/>
- Modebadze, I. (2014). Gruzino-russkij nauchnyj perevod v sfere gumanitarnogo znaniya: problemy i perevodcheskie strategii [Georgian-Russian scientific translation in the field of Humanities: problems and translation strategies]. *sjani* [Sjani]. №14, pp. 192-205.

- Muradalieva, Z. N., & Torosjan, M. V. (2010). *Osobennosti perevoda istoricheskikh tekstov [Features of the translation of Historical texts]*. Moscow: Publishing House «Nauka».
- Nodia, T., & Amirjedzhibi, N. (2020). Osobennosti imenovanija duhovnyh i svetskih lic v Gruzii i Rossii: peredacha antroponimov v metodike RKI [Peculiarities of naming clergy and secular persons in Georgia and Russia: the transfer of anthroponyms in the methodology of Russian as a Foreign Language]. *Materialy Mezhdunarodnoj Nauchnoj Konferencii «Ot istokov k rusistike XXI veka» [Materials of the International Scientific Conference “From the Origins to Russian Studies of the 21st Century”]*. (06.02.2023). Tiraspol: Prydniprovsky University Publishing House. pp. 13-21. Retrieved from https://www.academia.edu/42886893/%D0%9E%D1%82_%D0%B8%D1%81%D1%82%D0%BE%D0%BA%D0%BE%D0%B2_%D0%BA_%D1%80%D1%83%D1%81%D0%B8%D1%81%D1%82%D0%B8%D0%BA%D0%B5_XXI_%D0%B2%D0%B5%D0%BA%D0%B0.
- Popovich, A. (1980). *Problemy hudozhestvennogo perevoda [Problems of literary translation]*. Moscow: Publishing House «Vysshaja shkola».
- Prokonichev, G. I. (2010). Konceptual'naja informacija i interpretacija pojeticheskogo teksta [Conceptual information and poetic text interpretation]. *Vestnik Moskovskogo universiteta [Bulletin of Moscow University]*. Series 22, №4. Theory of Translation. pp. 29-37.
- Sorokin, Ju. A. (1985). *Psiholingvisticheskie aspekty izuchenija teksta [Psycholinguistic aspects of text learning]*. Moscow: Publishing House «Nauka».
- Cerkov' Uspenija Bogorodicy. Grobnica Marii [Church of the Assumption of the Holly Virgin. Mary's Tomb]*. (n.d.). Retrieved from <http://www.e-reading.club/chapter.php/1011627/6/sergey-balandin-pyatoe-evangelie-chast-6-ekzegetika-serdca.html>
- Fedorov, A. V. (2002). *Osnovy obshhej teorii perevoda. [Fundamentals of the general theory of translation]*. Moscow: Publishing House «Filologija tri».